

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ლაფანაანთკარის საჯარო სკოლა

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების
სტრატეგიები სწავლა-სწავლების
ეფექტურობისთვის გეოგრაფიის გაკვეთილზე
VI კლასში

თამარ ჭინჭარაულის
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

2018 -2019

სარჩევი

I -შესავალი.....	გვ. 3
II- ლიტერატურის მიმოხილვა.....	გვ. 4
III- პრობლემის იდენტიფიცირება	გვ. 10
IV-კვლევის მიზნები და ამოცანები.....	გვ. 13
V-კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები.....	გვ. 13
VI-მონაცემთა შეგროვება და ანალიზი	გვ. 15
VII - კვლევის დასკვნები და მიგნებები.....	გვ. 21
VIII- ინტერვენციების აღწერა	გვ. 22
IX -ინტერვენციების შეფასება.....	გვ. 25
X -დასკვნა.....	გვ. 26
XI -რეკომენდაციები.....	გვ. 27
XII-ბიბლიოგრაფია.....	გვ. 28
XIII-დანართები.....	გვ. 29
XIV-რეფლექსია.....	გვ. 45

I - შესავალი

პედაგოგიურ სფეროში უამრავი პრობლემა იყრის თავს, რომელთა სფუძვლიან მოგვარებას უდიდესი პრაქტიკული გამოცდილება და ძალისხმევა სჭირდება. შეუძლებელია თითოეულ მათგანს მასშტაბურობა შევძინოთ და განხილვის თემად ვაქციოთ. შერჩეული პრობლემა ნამდვილად უნდა ღირდეს კვლევად. საკუთარ თავშიც და გარემოშიც უნდა არსებობდეს რესურსი, რომელიც დაგვეხმარება საქმის წარმატებით სრულყოფაში.

აღსაზრდელის მიღწევები სკოლაში პირდაპირ კავშირშია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებულ ურთიერთობებზე. წარმატებული ურთიერთობა კი იმაზე, თუ რამდენად იზიარებს ორივე მხარე ერთმანეთის ინტერესებს. მოსწავლისთვის სწავლის სტილის სწორად დაგეგმვა მაქსიმალურად უწყობს ხელს ეფექტიანი სასწავლო ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას.

თანამედროვე სწავლების ნებისმიერ საფეხურს გარკვეული სირთულები და გამოწვევები ახლავს. „სტატუსის“ ცვლილება ხშირად უარყოფითად იხახება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, რადგან ასეთ დროს ზოგიერთ ბავშვს უჭირს ფსიქო-ემოციურად ადაპტირება ახალ სასწავლო გარემოებებთან: დამატებითი დისციპლინები, ახალი პედაგოგები - გაზრდილი მოთხოვნებით, უცხო საკლასო ოთახი და ა.შ. ზოგიერთი კი დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას. აქედან გამომდინარე სავსებით შესაძლებელია, რომ ქვედა საფეხურის წარმატებით დამლევის მიუხედავად კლასის ცოდნის საერთო დონე დაქვეითდეს. მსგავს სიტუაციას ვერ მოვარგებთ ვერანაირ მზა წარმატების ფორმულას, ჩვენ როგორც შემოქმედებითი პროცესის მთავარი მონაწილე ვალდებულნი ვართ მოვახდინოთ სწორი ინდივიდუალური დიაგნოსტიკა და ჩვეული ენთუზიაზმით, ენერგიულობით ვიქცეთ თითოეული აღსაზრდელის მტკიცე დასაყრდენად. ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ მოსწავლეთა დაინტერესება-მოტივირება, ვასწავლოთ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა და სწორი გამოყენება, მაქსიმალური ჩართვა სასწავლო პროცესში, რაც განაპირობებს მათი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ჩემს მიერ წარმოებულ კვლევის ანგარიშში განხილულია დუშეთის მუნიციპალიტეტის სსიპ ლაფანანთკარის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე, კერძოდ მე-7 კლასში არსებული მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია გეოგრაფიის გაკვეთილზე და ამ პრობლემის მოგვარების გზების ძიება.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია შესავალი ნაწილი, პრობლემა და საკვლევი საკითხი, პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, კვლევის მიზანი და კვლევის ამოცანები, აგრეთვე საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მეთოდები, შეგროვილი მონაცემთა ანალიზი, აღწერილია კვლევის ძირითადი მიგნებები, დაგეგმილი ინტერვენციები და მისი შეფასება, ასევე ნაშრომში მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, ბიბლიოგრაფია, დანართები და კვლევის შედეგების გააზრების რეფლექსია.

სარგებელი: მე, როგორც პედაგოგმა კვლევაზე მუშაობით შევძელი საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, სიახლეების აღმოჩენა და დანერგვა ჩემს მოსწავლეებთან ერთად.

პრობლემის ზუსტი იდენტიფიცირება და კვლევაში გამოყენებული ინტერვენციები ვფიქრობ ჩემს მოსწავლეებთან ერთად მიმიყვანს დასახულ მიზნამდე -მოტივაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვის შემდეგ მათთვის გეოგრაფია გახდება ერთ-ერთი საინტერესო, სახალისო და ცხოვრებაში გამოსაყენებელი საგანი. **მოსწავლეები** შეძლებენ საკუთარ თავში საუკეთესო უნარების მოძიებას და მობილიზებას, კერძოდ გამოუმუშავდებთ ინიციატივის აღების და ამავდროულად წარუმატებლობის/მარცხის დაძლევის უნარი.

ვფიქრობ,რომ **კოლეგები** დაინტერესდებიან აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით ჩემს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული მრავალფეროვანი სტრატეგიებით, აქტივობებით, პედაგოგიური მეთოდებით და დამდგარი შედეგებით, რადგან სხვადასხვა საფეხურზე სწავლებისას ანალოგიური პრობლემური სიტუაციის წინაშე შეიძლება რომელიმე მათგანიც აღმოჩნდეს.

II - ლიტერატურის მიმოხილვა:

კლასში მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და მისი ხანგრძლივად შენარჩუნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. გამოცდილი პედაგოგების და ფსიქოლოგების მიერ მოტივაციის ამაღლების არა ერთი ეფექტური სტრატეგია შემუშავდა,თუმცა თანამედროვე სწავლა-სწავლების პროცესში თემა მაინც აქტუალურია, რადგან სწავლა ბავშვისთვის ხშირად ხდება მოსაწყენი.

რა არის მოტივაცია?

მოტივაცია არის მოქმედებისკენ მისწრაფებათა განსაზღვრული ერთობლიობა,იმისთვის რომ მოთხოვნილებამ გამოიწვიოს გარკვეული მოქმედება, საჭიროა,მოიძებნოს შესაფერისი რამ,რაც ადამიანს კონკრეტული მოქმედებისკენ უბიძგებს. მას მოტივი ეწოდება. მოტივი შეიძლება იყოს განცდა,ურთიერთობა,იდეალები,მრწამსი,ჯილდო და სხვა. იმისთვის,რომ მოსწავლეებს სწავლის მოტივები ჩამოუყალიბოს,მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ახალი მოტივებისა და მოთხოვნების განვითარების მექანიზმი,როგორცაა აქტიური საქმიანობის,ემოციური დაკმაყოფილების,კოლექტივში თვითდამკვიდრებისდა სხვა მოთხოვნილებები, მან უნდა შეასრულებინოს მოსწავლეს საჭირო მოქმედებები და მოახერხოს,რომ ამ მოქმედებებმა მოსწავლეებში გამოიწვიოს დადებითი ემოციური განცდები,დააკმაყოფილოს მათი ინტერესი,ჩაუნერგოს პრობლემათა გადალახვის შესაძლებლობების რწმენა,საკუთარი უნარიანობის რწმენა,საკუთარი წარმატების გამო სიამაყე და სიხარული.(გ.ნოზაძე2012:5)

არაფერი ისე ცუდად არ მოქმედებს მოზარდის აკადემიურ მოსწრებაზე, როგორც ინტერესისა და მოტივაციის უქონლობა. სწორედ ამ პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით მე და ჩემი მოსწავლეები.

მასწავლებლებს ბავშვის სწავლის მოტივაციის გაზრდაზე პირდაპირ შეუძლიათ იმოქმედონ ეფექტიანად წარმართული მეცადინეობების საშუალებით და შემოვლითი გზით, ანუ მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდებით. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში უძლურია ყველა შიდა თუ გარე ფაქტორი; საფეხურის ცვლასთან ერთად მასალა რთულდება, მოსწავლეებისთვის უფრო მოსაწყენი ხდება საგაკვეთილო პროცესი და მოსწავლე კარგავს მოტივაციას (ორმონდი, 2008:5) სწორედ აქ იკვეთება მასწავლებლის განსაკუთრებული როლი, რომ იზრუნოს მოსწავლეებში როგორც შინაგანი (ნიშანი, შექება,) ისე გარეგანი (ჯილდო, საჩუქარი და ა.შ) მოტივაციის ამაღლებაზე. სასურველია მოტივაციის ორივე ფორმის დაბალანსებული გამოყენება, თუმცა ფსიქოლეგები უპირატესობას შინაგან მოტივაციას ანიჭებს, რადგან ბევრად უფრო მდგრადია და მოსწავლეთა განვითარებას განსაკუთრებით უწყობს ხელს. ასეთ დროს მოსწავლე ადვილად რწმუნდება სწავლის პრაქტიკულ დანიშნულებაში, რასაც შემდგომ „დივიდენდის“ მოტანა შეუძლია პირადი წარმატების სახით. რაც შეეხება გარეგან მოტივაციას, მისი ხშირი გამოყენება მოსწავლეებში იწვევს ე.წ. „ვაჭრობის სინდრომს“ და აქვეითებს მოტივაციას.

მასწავლებლის ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს სწავლა კლასში, რამდენად შეძლებს მოსწავლეების დაინტერესებას ისე, რომ მათ სწავლა უპირველეს ამოცანად გაიხადონ. რაც უფრო მეტად მოტივირებული არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი და პირიქით.

„მასწავლებლები კარგად უნდა იცნობდნენ **მოტივაციის თეორიას**, რათა სწავლების პროცესი ეფექტიანად წარმართონ და მშობლებს ის სტრატეგიები გააცნონ, რომელთა განხორციელება მათი შვილების სწავლის მოტივაციას გაზრდის, ამგვარად ბავშვების სწავლის მოტივაცია, ანუ სწავლის პროცესიდან სიამოვნების მიღება, განათლებაში ჩადებული ინვესტიციაა, რომელიც მასწავლებლის და მშობლების გარეშე ვერ შეიქმნება“.

მეცნიერმა **სასმა** (1989:21) თავის მოსწავლეებს ასეთი დავალება მისცა. თითოეულ მათგანს ჩატარებული გაკვეთილებიდან უნდა ამოერჩია ორი: ერთი, რომელმაც **მოტივაციის ზრდას** შეუწყო ხელი და მეორე, რომელმაც **მოტივაციის შემცირება** გამოიწვია. მოსწავლეებმა ჯერ ინდივიდუალურად შეასრულეს დავალება, შემდეგ კი – ჯგუფურად. ჩატარებულმა სამუშაომ აჩვენა, რომ მოსწავლეების მოტივაციის ზრდას რვა ძირითადმა ფაქტორმა შეუწყო ხელი:

1. მასწავლებლის ენთუზიაზმი;
2. შესაბამისი საინტერესო მასალა;
3. მაღალ დონეზე ორგანიზებული სასწავლო კურსი;
4. საშუალო სირთულის მასალა; (ასეთ დროს ბავშვები საკუთარი თავის რწმენით აღივსებიან)
5. მოსწავლეების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში;
6. ურთიერთ ნდობის ფაქტორი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის;

7.მრავალფეროვნება;

8.ცოცხალი,კონკრეტული და ადვილად გასაგები მაგალითების მოყვანა.

VII კლასში ჩემს მიერ ანალოგიური პირობის წამოყენების შემთხვევაში მოსწავლეებმა მოტივაციის ზრდის და კლების რამდენიმე მიახლოებულ ფაქტორი დამისახელეს.

ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლის მოტივაციაზე გავლენას ახდენს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური კომენტარი. ასეთ შემთხვევაში საუკეთესოა „სენდვიჩის მეთოდის“ გამოყენება, რომელიც მოზარდის ობიექტური შეფასების გარანტიაა. შექება აძლიერებს მოსწავლის თვითშეფასების უნარს და ხდის თავდაჯერებულს. ბავშვები სიამოვნებით ისმენენ ჯადოსნურ - ენერგეტიკულ ფრაზებს: „მე მჯერა შენი !“, „შენ ამას შეძლებ!“, „ველაფერი გამოგვივა ერთად!“ და ა.შ. გასათვალისწინებელია, რომ სუსტ მხარეებზე საუბრისას კომენტარი უნდა გაკეთდეს მხოლოდ მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე და არა პიროვნულ მახასიათებელზე. ფსიქოლოგების რჩევით, თუ გვსურს კლასში შევინარჩუნოთ ჯანსაღი და კონკურენტუნარიანი გარემო, არ უნდა მოხდეს ნამუშევრის შედარება სხვა მოსწავლის ნამუშევართან. შედარება/ანალიზი უნდა მოვახდინოთ მხოლოდ დრო და დრო მის მიერ შესრულებულ დავალებებს შორის. აგრეთვე მოსწავლემ უნდა სწორად აღიქვას, რომ რომ დავალებას აკეთებს არა მასწავლებლისთვის, არამედ საკუთარი ცოდნის დონის ასამაღლებლად. მას მოლოდინი უნდა ჰქონდეს, რომ გაწეული შრომა მასწავლებლისგან ჯერ **დაუფასდეს** და მერე კი **შეუფასდეს ობიექტურად**.

საგაკვეთილო პროცესის დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეს ჰქონდეს შეცდომის დაშვების უფლება, რაც გაამხნევეს მოსწავლეს და გამოუმუშავებს თვითშეფასების და თვითრწმენის უნარს მაშინაც კი, როცა ის ვერ აღწევს სასურველ შედეგს.

ამგვარი მოპყრობით მოსწავლე თავს იგრძნობს კლასის სრულუფლებიან წევრად, სადაც მის მიერ გამოთქმული აზრი ღირებული და ანგარიშ გასაწვია. მას თავისთავად გამოუმუშავდება სხვისი აზრის მოსმენის, დაკვირვების, გუნდურობის, მოთმინების და წარმატების მიღწევის რეალური განცდის უნარი, რაც **მოტივაციის ზრდის** საწინდარია.

ამერიკელი ფილოსოფოსის **ჯ.დიუის** პროგრესული განათლება გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებულ, მისი ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის მიერვე წარმართულ სწავლების პროცესს. ფილოსოფოსი ცდილობდა საკუთარი პრაქტიკით დაემტკიცებინა გამოცდილებით სწავლების საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პოტენციალის უპირატესობა. მას მიაჩნდა, რომ ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ **კუთებით**, საკუთარი **გამოცდილებით**, როცა ისინი თვითონ ქმნიან რამეს და როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავენ განათლების მნიშვნელობას. მისი აზრით განათლება არ ნიშნავს მხოლოდ ფაქტებით სწავლებას. მთავარია მოსწავლეებმა შეიძინონ ის უნარები და ცოდნა, რომლის გამოყენებასაც ისინი მომავალში შეძლებენ. ანუ, ცხადია, რომ დიუის და მისი განათლების ფილოსოფია ცოდნის **პრაქტიკულობაზე** იყო ორიენტირებული.

აღნიშნულ თემაზე კი **დონ ქვისტი** ამბობს: -, არსებობს უამრავი ექსპერიმენტი, რომელიც მინიმალური რაოდენობის აღჭურვას მოითხოვს. თუ მასწავლებელი გამოირჩევა **შემოქმედებითი აზროვნებით** მაშინ მას შეუძლია საკლასო ოთახი აქციოს მუშაობისთვის

საინტერესო ადგილად. გაკვეთილები, რომელთა ფორმატი არ იცვლება, მეთოდები არ მრავალფეროვნდება დროთა განმავლობაში მოსაბეზრებელი ხდება ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის.

მართალია თანამედროვე სწავლების მოთხოვნები და ქართული სკოლის რეალობა (გამონაკლის შემთხვევაში) არარელევანტურია და პედაგოგების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია ექსპერიმენტების ჩატარება,თუ არ გვაქვს შესაბამისი სპეციალური აღჭურვა,თუმცა ამგვარი ხისტი მიდგომით ვაზარალებთ მხოლოდ საკუთარ თავს და მოსწავლეებს . მანამ, სანამ ყველა სკოლაში შემოაღწევს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი აღჭურვა, ვეცადოთ ბავშვებს უმარტივესი ექსპერიმენტებით გავუმდიდროთ და განვუმტკიცოთ ცოდნა.

.....ყველა მოსწავლეს მიეცით ექსპერიმენტში მონაწილეობის ან მისი დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა,რადგან ეს პროცესი უადვილებს მათ შესწავლილის დამახსოვრებას და მოვლენებს შორის კავშირის დანახვას; ცდის დამოუკიდებლად ჩატარების დროს მოსწავლის ემოციური ჩართულობა მაღალია,რაც ხელს უწყობს სასწავლო ამოცანების ეფექტიანად შესრულებას. ასეთ დროს შეეცადეთ თანაბარი ყურადღება მიაქციოთ გოგონებს და ბიჭებს”-გვირჩევენ პოლონელი ექსპერტები(ჟურნალი „მასწავლებელი” 2010,№4)

სწავლების და სწავლის ახალ მიდგომებში ვკითხულობთ: „ რამდენად სწორად გვესმის,რა სჭირდებათ ჩვენს მოსწავლეებს რომ ამაღლდეს მათი მოტივაცია? ამას ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს. მაგ. რამდენად აინტერესებს მოსწავლეს ესა თუ ის საგანი,რამდენად გრძნობს ამა თუ იმ დისციპლინის სწავლის საჭიროებას, როგორია მოსწავლის თვითშეფასება(სჯერა თუ არა საკუთარი ძალების რომ დაძლევეს საგანს?), აქვს თუ არა მოთმინების და შრომის უნარი.

ზოგი მოსწავლე უფრო დიდი ხალისით სწავლობს მაშინ,როცა მისი შინაგანი მოტივაცია კლასის და მასწავლებლის ენთუზიაზმს ემთხვევა. ხშირად ისეც ხდება,რომ მოსწავლეებს კარგად აქვთ გააზრებული რას მოელიან მისგან.მაგ.მათ სურთ უფრო მეტი ცოდნა შეიძინონ ამა თუ იმ საგანში, დახვეწონ ესა თუ ის უნარ-ჩვევა, მეტი ისწავლონ, უფრო წარმატებულად გადაწყვიტონ ესა-თუ ის საკითხი, უკეთ შეძლონ ურთიერთობა სხვებთან და ა.შ. როდესაც ისინი ამ სურვილებს იკმაყოფილებენ, კიდევ უფრო მოტივირებულიები აგრძელებენ სწავლას. ასეთ ენთუზიაზმს უმაღლესი ნიშნის მიღებაც კი ვერ აღძრავს. ისეთი აქტივობები,როგორიცაა საკლასო სამუშაოები, დისკუსიები და სხვადასხვა სახის დავალებები სწორედ ამ შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული. როცა ბავშვები აქტიურად წერენ, ინტერესით კითხულობენ, თხზავენ და გონივრულად წყვეტენ ამა თუ იმ პრობლემას დიდ გამოცდილებას იძენენ.

ფსიქოლოგების მტკიცებით პასიურობა მოსწავლთა მოტივაციას და ცნობისმოყვარეობას ანელებს. თანამედროვე სწავლებაში ასატანი და დასაშვებია მხოლოდ პასიური მასწავლებელი - ოღონდ ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა . საკლასო გარემოში სწორი გაგებით აღქმული „პასიური“ მასწავლებელი ასრულებს მხოლოდ ფასილიტატორის ფუნქციას და „ბონუსად“ იღებს უამრავ აქტიურ მოსწავლეს და მოტივირებულ კლასს.

ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის სრულიად მისაღებია მოტივაციის ასამაღლებლად სწავლების შეჯერებული საშუალებების გამოყენება შემდეგი თანმიმდევრობის დაცვით წარიმართოს:

- ა) დახმარების გაწევა მოსწავლეებისთვის რეალური მიზნების დასახვასა და ჩამოყალიბებაში;
- ბ) სასწავლო პროცესის აგება მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- გ) არჩევანის მიცემის უფლება მოსწავლეებისთვის;
- დ) სასწავლო მეთოდთა მრავალფეროვნება/რუტინისგან განთავისუფლება;
- ე) დაკონკრეტება რა არის მოსაწონი და რა არა მოსწავლის ქმედებაში (ბავშვის ბუნება ვერ იტანს სიყალბეს);
- ვ) დამამცირებელი კომენტარების აკრძალვა და დაგმობა (მოსწავლეთან მასწავლებლის) ბრძოლის სცენარით მოქმედების;
- ზ) მოსწავლეთა შორის არაჯანსაღი კონკურენციის აღმოფხვრა;
- თ) მუქარა/წინხი და მოსწავლეთა ცუდი ნიშნებით შეშინება; მოსწავლეს ვერაფერს ვერ ვაიძულებთ;
- ი) დამსახურებული შექება - მოტივაციის და წარმატების გარანტი.

ტექნოლოგიების საუკუნეში პროგრესის შესაბამისად ინფორმაციები განახლებადია და ცოდნაც დაძველებადი. ამ პროცესის მიმართ სასწავლო დაწესებულებების, კერძოდ სკოლების მგრძობელობის კოეფიციენტი მატულობს. ადვილი მისახვედრია, რომ გუშინდელი სწავლების მეთოდი დღეს შეიძლება არაეფექტური აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის.

პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს მაშინ, როცა აღმზრდელებს სიახლეების მიღება არ გვინდა (გვეზარება ან გვაქვს ისტ-ის ათვისების შიში). ცხოვრება იცვლება, მაგრამ ჩვენს გონებაში დაკანონებული დოგმატური აზრების დაცვას ვცდილობთ და რაც მეტად გამოვეკიდებით და შევეცდებით მათ შენარჩუნებას პირვანდელი სახით, მით მეტ პრობლემებს წავაწყდებით საგანმანათლებლო არეალში.

თანამედროვე ეპოქის მემკვიდრეები, თვითნაბადი ნიჭით/უნარებით დაჯილდოვებული ჩვენი „ინდიგო“ ბავშვები დიდი მოთმინებით გვისმენენ და გვენდობიან, ხან კი ბედავენ და სამართლიანი კორექტივი შეაქვთ საგაკვეთილო პროცესში. თუ ჩვენ მოსწავლეს თანამოაზრედ, პარტნიორად და მრჩეველად მივიჩნევთ, სასწავლო პროცესს უდავოდ მომავლის საკეთილდღეოდ მივმართავთ.

სასკოლო სივრცეში წლების წინ შემოტანილი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები ძალიან ბევრ თვალსაჩინოებას და ფოტო-ილუსტრაციებს იტევს, უამრავი დავალება გათვლილია მაღალ სააზროვნო უნარზე, მაგრამ მოსწავლეებს არ ხიბლავთ ვრცელი ტექსტები და მათთვის ძნელად აღსაქმელი მაღალფარდოვანი სიტყვებით „ახსნილი“ ცნებები, ალბათ იმიტომ, რომ „21-ე საუკუნე მოკლე შეტყობინებებისა, მორბენალი სტიქონების, მოკლე ტექსტების მოყვარული საუკუნეა. მთელს მსოფლიოში მასწავლებლები, ლიტერატორები თუ განათლების ექსპერტები შიშით უყურებენ და აღიარებენ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე მოსწავლეებს ძალიან უჭირთ გძელი ტექსტების კითხვა და გაგება. უმთავრეს მიზეზებად განიხილება - კომპიუტერიზაცია, ცხოვრების დაჩქარებული ტემპი, ყოველდღიურად და ყოველ წამიერად ზღვა ინფორმაციის მიღება და ა.შ. მაგრამ ამ არა სახარბიელო რეალობის გამოსასწორებლად ექსპერტები სულაც არ გვთავაზობენ, რომ გრძელ ტექსტებს უნდა ავარიდოთ მოსწავლეები, არამედ, პირიქით არ უნდა დავიშუროთ ძალისხმევა, მრავალგვარი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ და შეუძლებელი შევძლოთ, რადგან ისე არაფერი არ ავითარებს სააზროვნო უნარებს, როგორც ტექსტზე მუშაობა. საუკეთესო შეგდგი მოაქვს მაალითად, მარკერულ კითხვას, საკვანძო მონაკვეთების სქემატურად გამოსახვას და ასოციაციური რუკების შექმნა და ა.შ. “- კვითხულობთ ჟურნალ „მასწავლებელში“ (2017, 11 აგვისტო)

ცნობილი ფსიქოლოგი ანიტა ვულფოლკი წერს:- „თუ თქვენ მოსწავლეებს მოსთხოვთ დაიხეპირონ ის ცნებები, რომელთაც არასდროს გამოიყენებენ, ისწავლონ მასალა მხოლოდ იმიტომ, ომ იგი ტესტში შედის, განმეორებით გააკეთონ ამოცანა, რომელიც უკვე კარგად აქვთ გაგებული, მაშინ სწავლის მოტივაცია დაბალი იქნება, მაგრამ თუ ამოცანა იქნება ავთენტიკური, მოსწავლეები დაინახავენ მათი სარგებლიანობის ღირებულებას მაშინ ეს ამოცანა გახდება მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო. როდესაც მასალა აბსტრაქტული ან უცნობია მოსწავლეთათვის დააკავშირეთ იგი მათთვის კარგად ნაცნობ რაიმე საგათან ან მოვლენასთან (2009:546)

TARGET-ის მოდელზე დაყრდნობით ა.ვულფოლკი მოტივაციის გასაზრდელად პირველ პლანზე წევს: ამოცანას, ავტონომიას, აღიარებას, დაჯგუფებას, შეფასებას და დროს.

გასათვალისწინებელია მისი გონივრულ რჩევები: „,ნუ ჩაეჭიდებით მოტივაციის ასამაღლებლად რამდენიმე სტრატეგიას. საჭიროა მრავალმფეროვნება, ამოცანების მიზნობრივ სტრუქტურის მრავალფეროვნებას (თანამშრომლობა, შეჯიბრი, ინდივიდუალიზმი) ისეთივე ძალა აქვს, როგორც სწავლების სხვადასხვა პირობებს ” (2009:561). აგრეთვე მას თავის ნაშრომში განსხვავებით სხვა ფსიქოლოგებისა, გამოკვეთილი აქვს მოტივაციის არა მარტო ხელშემწყობი, არამედ მოტივაციის ძირგამომთხრელი რამდენიმე სტრატეგია (2009:555):

- ❖ მასწავლებელი არ ზრუნავს ახალი სასწავლო უნარ-ჩვევების სკაფოლდინგზე;
- ❖ არაეფექტური/ნეგატიური უკუკავშირი;
- ❖ კავშირების ნაკლებობა; ადვილი ამოცანები;
- ❖ ნეგატიური საკლასო ატმოსფერო;
- ❖ სამუშაო, რომელიც მეტისმეტად რთულია;
- ❖ საჯარო დასჯა და ა.შ.

ამგვარ ძირგამომთხრელ სტრატეგიებს თუ გონივრულად/ მიზნობრივად დაუპირისპირებთ კვლევაში ზემოთ ნახსენებ მოტივაციის ასამაღლებელ სტრატეგიების ფართო რეპერტუარს, რომელზეც უპირობოდ თანხმდებიან ფსიქოლოგები, მივიღებთ გათვლილ დროში ხალისით და მოტივაციით სავსე მოსწავლეებს.

ამერიკელი მოტივაციის მკვლევარი **მიჰაი ჩიკსენტმიჰაი** აკვირდებოდა ადამიანებს, რომლებიც თავისუფალ დროს რაიმე აქტივობით იყვნენ დაკავებულნი. მაგ თამაშობდნენ ჭადრაკს, რგავდნენ ხეებს, ან ექსტრემალურ სპორტს მისდევდნენ. ეს ადამიანები თავიანთ პროფესიულ მოვალეობას სიამოვნებით, ძალდაუტანებლად ასრულებდნენ. ამის კვალობაზე ჩიკსენტმიჰაიმ დასვა კითხვა: „რა შეიძლება ვიღონოთ, რომ ძირითადი საქმიანობა, სამუშაო, ადამიანისთვის სასიამოვნო და, ამასთან პროდუქტიული გახდეს? როგორ მივაღწიოთ იმას, რომ მუშაობისას დრო შეუმჩნევლად გადიოდეს, ადამიანს სიამოვნებდეს პროფესიული მოვალეობის შესრულება და რაც მთავარია, აღწევდეს წარმართებას?“. წარმატების ფორმულა იოლი გამოსაყვანია: მიზანს რომ მივაღწიო საჭიროა, კი არ ველოდო, არამედ ვიმოქმედო. მაგრამ იქვე ჩნდება კითხვა: როგორ?

როგორ გამოვიწვიო საკუთარი მოტივაცია იმისთვის, რომ დავსახო მიზნები და სისტემატიურად ვიმოქმედო მათ მისაღწევად. (ჟურნალი „მასწავლებელი 2012 წ. №6)

ჩემს მიერ წარმოებულ კვლევაში შემთხვევით არ გამომიყენებია მიჰაი ჩიკსენტმიჰაის ფსიქოლოგიური მოსაზრებები, რადგან ამ რთული საქმის დასაწყებად ჯერ საკუთარი მოტივაციის „ათვის წერტილი“ განვსაზღვრე. როგორც ა. ვულფოლკი გვიჩვენებს „იყავით ნიმუში სწავლისადმი მაღალი მოტივაციის მქონე ადამიანისა, მოუყევით მოსწავლეებს თქვენი ინტერესების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ უმკლავდებოდით სიმწიფეებს“. მივხვდი, რომ ლოდინის დრო არ იყო, მიზნად დავისახე ჯერ მე გავმხდარიყავი მაღალმოტივირებული, პროდუქტიული და შემდეგ ჩემი მოსწავლეები „დამემუხტა“. მე არ უნდა დამეწერა კვლევა მხოლოდ კვლევისთვის. მართლაც შეუმჩნევლად გავიდა დრო სასიამოვნო პროფესიული მოვალეობის/დავალების შესრულებისას და გაწეული შრომის საპირწონედ მივიღე მოტივირებული კლასი.

ამგვარად, თუ ჩვენ ახალი მიდგომებით და სტრატეგიებით მუშაობას განვახორციელებთ, უნდა მოვძებნოთ მსგავსება ახალსა და ძველ მეთოდებს შორის, გავანალიზოთ რა უნდა გამოვიყენოთ ძველი მეთოდიდან ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ახალთან. ძალიან ადვილია ვასწავლოთ ის, რაც წარსულში იყო, ურთულესი გამოწვევაა ვასწავლოთ ის, რაც მომავალში გამოადგებათ მოსწავლეებს, ვიფიქროთ ხვალინდელ ნაყოფიერ დღეზე...

ცოდნის მიღების ახალმა გზებმა ახალი საგანმანათლებლო მიზნები და საჭიროებები გამოკვეთა და მაქსიმალურად შეუწყო ხელი მოსწავლეთა/მასწავლებელთა ინდივიდუალური პოტენციალის გამოიყვანებას. თუ ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო ტრადიციას ორგანულად შეერწყმება სწავლების თანამედროვე მიდგომები, რომლებიც ამჟამად საყოველთაოდ არის მიღებული, მომავალ თაობას თან და თან გამოუმუშავდება გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების, პრობლემის გადაჭრის და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები, ჩამოუყალიბდება მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უნარი, რაც **ეროვნული სასწავლო გეგმის უმთავრეს მიზნებს** წარმადგენს („სწავლების და სწავლის ახალი მიდგომები“ 2004:108)

III - პრობლემის იდენტიფიცირება

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის აუცილებლობა განაპირობა VII კლასში გეოგრაფიის გაკვეთილზე მოსწავლეთა უინტერესო დამოკიდებულებამ საგნის მიმართ და შესაბამისად მოტივაციის მკვეთრმა დაქვეითებამ. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი საფეხურის V – VI კლასებში ორწლიანი ურთიერთობა მაკავშირებდა აღნიშნული კლასის მოსწავლეებთან და ვასწავლიდი კურსს „ჩემი საქართველო“, მიმაჩნდა რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში კარგად ვიცნობდი თითოეულის ხასიათს, მიდრეკილებას და ინტერესთა სფეროს. თუმცა აღმოჩნდა, რომ საქმე სულაც არ იყო ასე ... პოზიტიური სასწავლო გარემოს მიუხედავად, ძალიან ხშირად კლასში ერთი და იგივე სურათი მხვდებოდა: დემოტივირებული, ინდიფერენტული და ინტენსიურად თავის მართლების რეჟიმზე გადასული ბავშვები... ვიფიქრე, ასეთი რადიკალური ცვლილების მიზეზი ხომ არ იყო ჩემი გადაჭარბებული მოლოდინი ბავშვების მიმართ? გონივრული ეჭვი ნაწილობრივ გამართლდა... მალევე მოსწავლეებთან გულახდილი საუბარი, მათი განწყობის, შეხედულებებისა და მოსაზრებების გაანალიზება დამეხმარა სიტუაციის რეალურ აღქმაში. მიზეზი ყველამ გულწრფელად გამიმხილა: დიდი მოცულობის ტექსტები, ძნელად ასათვისებელი უცხო ცნებები და ტერმინები, წინა საფეხურთან შედარებით განსხვავებულად რთული სავარჯიშოები და საშინაო დავალებები და ა.შ.

მათმა გულახდილობამ ჩემთვის ერთგვარი მოტივატორის ფუნქცია შეასრულა და პროცესის სწორ დიაგნოსტიკაში დამეხმარა.

ჩვენ ხშირად გვიჭირს „მოსწავლის ტყავში შეძრომა“, რათა განვიცადოთ ის ემოცია, რასაც აღსაზრდელი გრძნობს ახალი მასწავლებლის ან ახალი საგნის მიმართ, რაც გარკვეულწილად ართულებს ბავშვის ადაპტირებას სიახლესთან.

მარია მონტესორი ამბობდა „იმისთვის რომ ბავშვი აღზარდო - მას უნდა იცნობდე, მას რომ იცნობდე, - უნდა დააკვირდე, იმისთვის რომ დააკვირდე, - თავისუფლება უნდა მისცე...“

მივხვდი მეტი უშუალობა, დაკვირვება და თავისუფლების მინიჭება იყო საჭირო აღსაზრდელთან დამოკიდებულებაში იმისთვის, რომ „გაუცხოვებულ“ დისციპლინასთან ადაპტაცია გამემარტივებინა. მოტივაციის ამაღლებისთვის კი ეფექტური სტრატეგიების კვლევა-ძიება დამეწყო.

დიდი ფიქრი და განსჯა მომიწია, რადგან მსგავსი შემთხვევა ჩემს ხანგრძლივ პედაგოგიურ პრაქტიკაში თითქმის არ ყოფილა. მნიშვნელოვნად მივიჩნიე იმ მიდგომის გათვალისწინება, რომ როგორც ცალკეულ ინდივიდებს გააჩნიათ სწავლების განსაკუთრებული სტილი, ასევე მასწავლებლებსაც გვაქვს სწავლების განსაკუთრებული სტილი/მეთოდები, ისე რომ ამას ხანდახან თავადაც ვერ ვაცნობიერებთ. ამიტომ სავსებით შესაძლებელია შეუთავსებლობა მოხდეს მასწავლებლის სწავლების სტილს, მის მიერ არჩეულს ტრატეგიებსა და მოსწავლეთა სწავლის სტილს შორის. მხოლოდ აღსაზრდელის კი არა, საკუთარი შესაძლებლობები ეჭქვეშ დავაყენე, არ ვიცოდი შევძლებდი თუ არა

კვლევის დაწყებას, ვინ მეგულებოდა მხარდამჭერად , ან თუ მივიყვანდი წამოწყებულ საქმეს ბოლომდე? ასეთ შემთხვევაშია კლასში რსებული სიტუაციის სწორი ანალიზი თუ დამეხმარებოდა სწავლების პროცესის გასაუმჯობესებელი მართებული გზების აღმოჩენაში.

გადავწყვიტე, თავდაპირველად საქმე თვითმონიტორინგით დამეწყო. წლების დანატოვარი ტრადიციული სწავლების ე.წ. „ბუფერული“ ზონის გარღვევა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა. დავაკვირდი როგორ ვგეგმავდი და ვატარებდი გაკვეთილებს. იმას თუ რა ვიცოდი და რა არა საფუძვლიანად მოსწავლეთა ტიპებსა და სწავლის სტილზე, შესაბამისად რომელ ტიპს მიეკუთვნებოდნენ ჩემი მოსწავლეები, ან სწავლის რომელ სტილს ანიჭებდნენ უპირატესობას?! მეტ-ნაკლებად გავაანალიზე საკუთარი ქმედებები და მივხვდი, რომ უფრო მეტი გულმოდგინებით უნდა გავცნობოდი თანამედროვე სწავლების და სწავლის მიდგომებს, „ლუპით დავკვირვებოდი“ თითოეულ მოსწავლის უნარ-ჩვევებს, რადგან გუშინდელი სწავლების მეთოდი დღეს შეიძლება უკვე არაეფექტური ყოფილიყო მოსწავლეებისთვის.

„ცხადია სასწავლო მიდგომები იცვლება, მაგრამ ჩვენს პრაქტიკაში დაკანონებულ დოგმატურ აზრებს კვლავ თავგამოდებით ვიცავთ. სასწავლო პროცესისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ზომიერების თანაფარდობის დაცვას ძველსა და ახალს შორის, მაგრამ მაინც მგონია, რომ პედაგოგიკის ძველი მეთოდების გავლენა დღესდღეისობით კვლავაც ძლიერია. მაგალითად, ჩვენ გაკვეთილზე მაშინაც კი განვაგრძობთ საუბარს, ახსნას, ჩვენებას, თუ ვამჩნევთ რომ კლასში პასიური მსმენელები გვყავს. ასეთ, დროს ხმის აწევა და მკაცრი გამომეტყველების მიღება შედეგს ვერ მოგვცემს. სასურველია მოსწავლეებს მივცეთ დამოუკიდებელი მოქმედების და მეტი თავისუფლების უფლება, რადგან ბავშვისთვის აცილებელია სამყარო, რომელშიც ის თავისუფლად განვითარებას შეძლებს“ - ვკითხულობთ სწავლების და სწავლის ახალ მიდგომებში. თავისუფალი ბავშვი კი ყოველთვის აიძულებს მასწავლებელს სწავლის დროს გამოიყენოს რაც შეიძლება მეტი ხერხი და საშუალება, მაქსიმალურად გამოამჟღავნოს შემოქმედების უნარი და მრავალფეროვანი და ეფექტური გახადოს სწავლა-სწავლების პროცესი“ .

საწყის ეტაპზე მივიჩნიე კვლევის მარტივი გზებით წარმართვა: რამდენჯერმე შევიტანე „ქვიზი“- ერთგვარი **სადიაგნოსტიკო ტესტი** ფაქტობრივი ცოდნის გასაგებად, დავგეგმე რამდენიმე აქტივობა უცნობი **ტერმინების ათვისების ხარისხის** გამოსავლენად და ა.შ. რამაც საბოლოოდ დამარწმუნა კვლევის წარმართვის აუცილებლობაში. შევადგინე კვლევის **სამოქმედო გეგმა** (იხ. დანართი #3) . დავიწყე **დაკვირვების დღიურში** ჩანაწერების გაკეთება იმ მოსწავლეების შესახებ, რომლებიც ვფიქრობ დაიბნენ ახალი საგნის გასაცნობად და ასათვისებლად წამოყენებული გაზრდილი მოთხოვნების შედეგად. ინდივიდუალურად გავესაუბრე სხვა ახალ დისციპლინებთან დაკავშირებითაც, სადაც ანალოგიური პრობლემა კიდევ ერთ საგანში გამოიკვეთა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე დავასკვენი, რომ გარდამავალ საფეხურზე მყოფ ბავშვებს ალბათ ნაკლებად რეალისტურ მოთხოვნებს ვუყენებდი, რამაც არა თუ აამალა მოტივაცია, არამედ პირიქით, დემოტივირებულები გახად ისინი. მათ სასწრაფოდ სჭირდებოდათ ცვალებად პირობებთან ადაპტირება. ასეთ დროს მნიშვნელოვნ პროცესად მივიჩნიე კოლეგებთან შეხვედრა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ურთიერთ- თანამშრომლობით, ურთიერთ დაკვირვებით და აზრთა გაზიარებით

ჩვენი მოსწავლეების წინაშე მდგარი საფეხურის გამოწვევები ადვილად დაძლევადი გახდებოდა.

კვლევის დაწყებისთანავე ჩემი ვარაუდები ვიკვლიე და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე პრობლემის დროულად მოსაგვარებლად დავგეგმე და განვახორციელე შესაბამისი ინტერვენციები.

სარგებელი : სწორად დაგეგმილი და ეტაპობრივად განხორციელებული ინტერვენციები რადიკალურად შეცვლის მოსწავლეთა განწყობას და ინტერესს გეოგრაფიის მიმართ. კარგად გაწერილი გაკვეთილის გეგმები მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ყოველ ჯერზე მაქსიმალურად მოახდინონ შესაძლებლობების რეალიზება, შეძენილი ცოდნის ინტეგრირება საგნებთან და ნასწავლის ტრანსფერი.

კოლეგებისთვის კი ჩემს მიერ კვლევაში განხორციელებული სტრატეგიები და მიგნებები ერთგვარი გზამკვლევი იქნება მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული სწავლა-სწავლების ეფექტურობისთვის.

IV - კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის დაწყებამდე განვსაზღვრე და ჩამოვაყალიბე **კვლევის მთავარი მიზანი:**

კლასში ამაღლდეს გეოგრაფიის შესწავლის მოტივაცია

იმისთვის, რომ კვლევის მთავარი მიზნისთვის მიმეღწია ჩამოვაყალიბე კვლევის

მთავარი კითხვა:

როგორ ავამაღლო მოტივაცია მოსწავლეებში? როგორ შეიძლება წამოჭრილი პრობლემის მოგვარება, კერძოდ მოტივაციის ზრდა VII კლასის გეოგრაფიის სწავლებისას?

კვლევის მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვაყალიბე შემდეგი **ქვეკითხვები:**

- როგორ დავგეგმო და მოვარგო საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეთა მოთხოვნებს და შესაძლებლობებს?
- რა სახის წერილობითი დავალებებია მათთვის მარტივი: ტესტი, ესე ცხრილები/დიაგრამები და ა.შ.
- არის თუ არა გასაგები მათთვის ჩემს მიერ გაკვეთილზე გაცემული ინსტრუქციები?
- რა უშლით ხელს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში?
- რამდენად გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს საგაკვეთილო პროცესში ისტ-ის გამოყენება?
- როგორ განუვითარო და ჩამოვუყალიბო მოსწავლეებს კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება?
- მიმართავენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეთა შედეგების მონიტორინგს?

- არსებობს თუ არა დროული და ეფექტური უკუკავშირი მოსწავლე-მასწავლებელს შორის?
- რას ვსწავლობთ მე და ჩემი მოსწავლეები გაკვეთილებიდან /ერთმანეთისგან?

V- კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები

ვარაუდების საკვლევად და გასამყარებლად მნიშვნელოვანი იყო, კვლევის რა მეთოდების გამოყენება იქნებოდა მიზანშეწონილი ჩემი და ჩემი მოსწავლეების წინაშე მდგარი პრობლემის გადასაჭრელად?!

ეს იმ არსებით კითხვას წარმოადგენდა, რომელიც შემდგომი კვლევის ზუსტ წარმატებას და ადეკვატურობას განსაზღვრავდა.

ნაშრომის სანდოობის გაზრდის და მონაცემთა შეგროვების მიზნით მართებულად მივიჩნეე თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის რამდენიმე ინსტრუმენტის შერჩევა/მორგება.

სამიზნე ჯგუფს წამოადგენდა VII კლასის 4 მოსწავლე და ამავე კლასის ისტორიის, ხელოვნების, რუსული და ინგლისური ენის მასწავლებლები.

თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტად მიზანშეწონილად ჩავთვალე **დაკვირვება**(მოსწავლეები) და **ფოკუს ჯგუფი** (მასწავლებლები). ამ ინსტრუმენტების გამოყენებით შევძელი დეტალურად გამოძვევლია ჩემს ინტერესთა ობიექტივში მოქცეული ჯგუფების დამოკიდებულება, განწყობა და პოზიცია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, რამე თუ ორივე სამიზნე ჯგუფი პრობლემის ეფექტიანად მოგვარების დაინტერესებულ მხარედ მივიჩნეე.

დაკვირვების, როგორც თვისობრივი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის გამოყენებისას დავიწყე **დაკვირვების/ჩანაწერების დღიურის** წარმოება (იხ. დანართი #12). აქცენტი გავაკეთე მის ხანგრძლივობაზე, სისტემატიურობაზე, ობიექტურობასა და მრავალმხრივობაზე, რამაც სრულყოფილი წარმოდგენა შემიქმნა მოსწავლეთა ინდივიდუალურ უნარსა და საჭიროებაზე.

ფოკუს ჯგუფი (იხ. დანართი #3) შედგა კლასის სხვა და სხვა საგნის ოთხ მასწავლებელთან,

რადგან მაინტერესებდა ჰქონდოთ თუ არა მსგავსი პრობლემები და რა სტრატეგიებს იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში? რა ინტენსივობით ახდენენ სწავლა-სწავლების პროგრესის მონიტორინგს, არის თუ არა მათ მიერ გაცემული უკუკავშირი დროული და ეფექტური, რა ფაქტორები ახდენს მოსწავლეთა მოტივაციაზე გავლენას და ა.შ.

ინსტრუმენტად გამოვიყენე ანკეტირება როგორც მოსწავლეების ისე მასწავლებლებლებისთვის, რადგან უფრო სანდო, ზუსტი და სტატისტიკურად მარტივად დასამუშავებელია. კითხვების ფორმულირება მოვახდინე კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მოსწავლეთა კითხვარი (დანართი #4), შედგებოდა 8 დახურული კითხვისაგან, ხოლო მასწავლებლების 7 დახურული და ერთი ღია კითხვისგან (იხ. დანართ #2) შევსების ხანგრძლივობა განისაზღვრა 15-20 წუთი. ანონიმურობიდან გამომდინარე პასუხები იყო გულწრფელი და ობიექტური.

კვლევის დასკვნით ეტაპზე კვლავ შევთავაზე მოსწავლეებს განმეორებითი ანკეტირება (დანართი #5), რომელმაც თვალსაჩინო გახადა სასწავლო წლის საწყის ეტაპზე კლასში წამოჭრილი პრობლემა მოგვარდა თუ არა წლის ბოლოს.

VI - მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

ფოკუს ჯგუფი ოთხი მასწავლებლისგან შედგა, მათ შორის ორი მათგანი ასწავლიდა ბავშვებს დაწყებით საფეხურზე. კვლევის წარმოების პროცესში შეხვედრა მოხდა სამჯერ. შეხვედრები საინტერესოდ წარიმართა, ყველა მონაწილე თავისუფლად გამოთქვამდა თავის მოსაზრებას და იძლეოდა ადეკვატურ რჩევებს.

- კოლეგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მათაც უფრო მაღალი მოლოდინი ჰქონდათ მოსწავლეთა მხრიდან, მაგრამ საგნებში შეინიშნებოდა მოტივაციის კლების ტენდენცია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ VII კლასის მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ არამდგრადობას, მასწავლებლების გაზრდილი მოთხოვნებიც მათთვის ხანდახან უინტერესო და არასასურველია. ასეთ დროს მნიშვნელოვანია გაკვეთილზე მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება, რაც შედეგს გარკვეულწილად აუმჯობესებს;
- თუ ზუსტად არ გავითვალისწინებთ ასაკობრივ ჯგუფს, ზოგჯერ მაღალი შედეგების მოლოდინში გვიწევს მოსწავლეების მიმართ არარეალისტური მოთხოვნების წამოყენება, ასეთ დროს მოსწავლეს ეჭვი ეპარება საკუთარ შესაძლებლობებში, ეკარგება საკუთარი თავის რწმენა, რაც ხშირად დემოტივაციის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს;
- კოლეგებმა გულწრფელად აღიარეს, რომ ნაკლებად იყენებენ ისტ-ს, თუმცა

სიტყმატიურად ცდილობენ მოსწავლეების ინტერესების და ცნობისმოყვარეობის

დაკმაყოფილებას მათ ხელთ არსებული ტრადიციული ინფორმაციული

საშუალებების გამოყენებით, რაც გარკვეულწილად ამაღლებს ბავშვების

საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას და მოტივაციის ხარისხს;

- ზოგიერთი მათგანი კლასს დამატებით (სხვა სახელმძღვანელოებიდან) ურჩევს ისეთ დავალებებს, რომელიც მორგებულია არა მარტო ქვედა, არამედ მაღალ სააზროვნო უნარების განვითარებაზე, თუმცა აღნიშნული ტიპის დავალებებს რა თქმა უნდა ყველა მოსწავლე ვერ ართმევს თავს დამოუკიდებლად;

- კოლეგები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილის პროცესშივე უბრუნებენ მოსწავლეს უკუკავშირს, რაშიც მათ ხელს უწყობს კლასის მცირერიცხოვნობა. მაგრამ ისიც დასძინეს, რომ უკუკავშირი ხან შეიძლება „რელიეფურია“, იფარგლება მხოლოდ „კარგია!“, „ყოჩაღ!“ და ა.შ. შედეგიც არ აყოვნებს და საგანში მოსწავლის ცოდნა/პასუხები ბუნდოვანი და არა დამაჯერებელი ხდება;
- კოლეგებს მიაჩნიათ, რომ კლასში მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენის ე.წ. „ოქროს შუალედის“ პოვნის უნივერსალური საშუალებაა მიზნის შესატყვისი აქტივობების და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსის გამოყენება, თუმცა ჩატარებული გაკვეთილები ყოველთვის არ არის ასეთი ნაყოფიერი/პროდუქტიული;
- კოლეგებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესის მონიტორინგს ატარებენ სემესტრში ორჯერ, თუმცა ხდება ისეც, რომ მათ მიერ გაცემულ უკუკავშირს ზოგიერთი მოსწავლე უგულისყუროდ ეკიდება, რაც ხდება მიზეზი მოსწავლის დაბნეულობის და გაურკვევლობის, რაც ორმაგ ძალისხმევას მოითხოვს და დრო ფუჭად იკარგება;
- სწავლების პროცესში მასწავლებლები უპირატესობას ანიჭებენ შინაგან მოტივაციას, თუმცა ყველამ ერთხმად აღიარა ბალანსის დაცვა შინაგანი(ქულა, შექება) და გარეგანი (ჯილდო, სიგელი/სერთიფიკატი) მოტივაციის გამოყენებისას.
- დაბალი მოტივაციის ერთ-ერთ გამოძვევ მიზეზად მასწავლებლებმა დაასახელეს დროის მოთხოვნის შეუსაბამო სახელმძღვანელოები, რაც მხოლოდ ნაწილობრივ ანვითარებს 21-ე საუკუნის უნარებს. მართალია შესასწავლი თემები საინტერესოა, თუმცა მოცულობითია, ცნებები/ ტერმინები და აბზაცები საჭიროებს მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე გაშიფვრას, რის საშუალებას ხშირად არ იძლევა საგაკვეთილო დრო;

თანამშრომლებთან საინტერესო შეხედრის შემდეგ დავასკვნით, რომ:

- მხოლოდ ტრადიციული წყაროებიდან ინფორმაციის მოძიება საგნებში და მით უმეტეს გეოგრაფიაში, არ არის ეფექტური საშუალება. გეოგრაფია, როგორც საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დისციპლინა მუდმივად უნდა იდგეს ახალ-ახალი ინფორმაციის სადარაჯოზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მოსწავლისთვის უინტერესო და „დრომოჭმულ“ საგნად გადაიქცევა და ვერ მოერგება „ელექტრონული თაობის“ მოთხოვნილებებს. ეს კი მოტივაციის დროის ლიმიტს მკვეთრად შეზღუდავს;
- მოსწავლეთა სწავლების პროგრესზე მონიტორინგის დროს არ არის საკმარისი მხოლოდ გეგმიურად დავეჯერდეთ მის განხორციელებას, არამედ უმჯობესია გამოვიდეთ კლასში არსებული რეალური სივრციდან და შესაბამისად შევიტანოთ რაოდენობრივი ცვლილება, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული იქნება;
- ძალზედ მნიშვნელოვანია გაკვეთილზე, ნებისმიერი ბავშვის მიერ დასმულ კითხვაზე დროული და სრულყოფილი უკუკავშირი, რაც ცოდნის

განმტკიცების ეფექტური საშუალებაა, განსაკუთრებით კლასში ბავშვების მცირე რაოდენობის შემთხვევაში.

- შევთანხმდით იმაზე, რომ მოსწავლეები, რომლებმაც იციან სწავლების/სწავლ სტრატეგიებით სარგებლობა და დამოუკიდებლად ახერხებენ მათ გამოყენებას უფრო მოტივირებულნი მაღალ აკადემიურ მოთხოვნებს პასუხობენ.
- საჭიროა მეტი დრო დავუთმოთ მოსწავლეებზე ფიქრს, რათა შთავაგონოთ არა მარტო საკუთარი საგნის „არამედ ცოდნის შექმნის ყოველდღიური მნიშვნელობა.. წავაქეზოთ აღსაზრდელები ახალი საინტერესო გამოწვევების მისაღებად და „მოსაგერიებლად“.
- აუცილებელია რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან, მათი ინფორმირებულობა შვილების შესახებ.


ამრიგად, თვისობრივი კვლევის ერთერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, **ფოკუს ჯგუფის** გამოყენების საფუძველზე მივიღე, ინფორმაცია როგორც ჩემთვის საინტერესო პრობლემური საკითხის სავარაუდო გზების ძიება- მოგვარების შესახებ, ასევე იმ ჯეროვან ქმედებებზე, რომელიც მოსწავლეებს პროდუქტიულს და ხანგრძლივად მოტივირებულს გახდიდა.

კვლევაში გამოყენებულმა თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტების მიზნობრიობამ გამოკვეთა სწორი ტენდენციები და მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხები, რის შედეგებზე დაყრდნობით დავგეგმე **რაოდენობრივი კვლევა**. ინსტრუმენტად უპირატესობა **ანკეტურ გამოკითხვას** მივანიჭე. შემუშავებული ანკეტის საშუალებით, რომელშიც ოთხი მოსწავლე მონაწილეობდა (**იხ .დანართი # 4**) დავადგინე , რამდენად საინტერესოა მოსწავლეებისთვის ჩემს მიერ დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილები, მოსწონთ თუ არა შეთავაზებული აქტივობები, როდის სწავლობენ უფრო კარგად გეოგრაფიაში და რა ზრდის მათ ინტერესს საგნისადმი. გასაგებია თუ არა მათთვის ჩემს მიერ გაცემული ინსტრუქციები, რამდენად დროული, მკაფიო და ეფექტურია უკუკავშირი და ა.შ

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი :

1. რა არის თქვენი დაბალი მოტივაციის მიზეზი გეოგრაფიის გაკვეთილზე


■ დიდი მოცულობის ტექსტი ■ რუკა ■ რთული დავალებები



კითხვაზე, რა არის თქვენი დაბალი მოტივაციის მიზეზი გეოგრაფიის გაკვეთილზე? გამოკითხვის შედეგებიდან იკვეთება, რომ ბავშვების 50%-თვის გაკვეთილზე დაბალი მოტივაციის მიზეზია დიდი მოცულობის ტექსტები, 25% მიიჩნევს რთულ დავალებებს, 25% კი რუკაზე მუშაობას. დამდგარი შედეგის გამოსასწორებლად საჭიროდ მივიჩნევ სახელმძღვანელოში არსებული დიდი ტექსტების ასათვისებლად შესაბამისი სტრატეგიების მოძიება და განხორციელება.

2. საგნისადმი თქვენს ინტერესს ზრდის


- საგაკვეთილო ტექსტზე და რუკაზე მუშაობა
- ექსპერიმენტები/ცდები
- ისტი-ს გამოყენება



რა ზრდის თქვენს ინტერესს გეოგრაფიის საგნისადმი? აღნიშნულ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 50% -ის საგნისადმი ინტერესს ზრდის ისტი-ს გამოყენება და დანერგვა სწავლებაში, ექსპერიმენტები და ცდები -25%, ტექსტზე და რუკაზე მუშაობა -25%.


3. გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები ამაღლებს თუ არა თქვენს მოტივაციას

- ნაწილობრივ ამაღლებს
- ამაღლებს



გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები ამაღლებს თუ არა მოსწავლეების მოტივაციას? ამ კითხვაზე მათ ასე დააფიქსირეს პირადი აზრი: ნაწილობრივ ამაღლებს 50%, ხოლო 50%-თვის

არ ამალღებს მოტივაციას. საჭირო იყო ჩემი მხრიდან შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დასახულ მიზნამდე დროულად და ეფექტურად მისასვლელად.




კითხვაზე -რა ზრდის თქვენს მოტივაციას გაკვეთილზე ?

აღმოჩნდა ,რომ მოტივაციას VII კლასში ამალღებს **ობიექტური შეფასება 50%-თვის,**

25%-თვის მაღალი ქულით შეფასება, ასევე - **25 %- შექება** . ამგვარი პასუხების დროს მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა გამოკითხვის ყველა კრიტერიუმს შორის,რადგან თითოეული მათგანი ერთმანეთს ავსებს, მათი მიზანმიმართულად გამოყენება ზრდის ურთიერთნდობას და ურთიერთპატივისცემას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. აგრეთვე აუცილებელია კლასი წინასწარ იცნობდეს გაკვეთილის შეფასების კრიტერიუმებს.

5. იღებთ თუ არა მასწავლებლისგან დროულ და ეფექტურ უკუკავშირს

■ ხანდახან ვიღებ ■ ხშირად ვიღებ ■ ვიღებ ,მაგრამ არ ვითვალისწინებ



მოსწავლეებმა ზემოთ აღნიშნულ კითხვაზე ასეთი პოზიცია დააფიქსირეს :

ხშირად ვიღებ -**50%**, **25%**- მა ხანდახან ვიღებ , ვიღებ მაგრამ არ ვითვალისწინებ- **25%**. არსებული შედეგიდან გამომდინარე საჭირო იყო ყველა მოსწავლისთვის განსაზღვრული დროის დათმობა და მყისიერი პასუხის უკან დაბრუნება მათ შეკითხვებზე, რაც მეტად განამტკიცებდა მოსწავლეთა ცოდნას.

აღნიშნული კვლევის ძირითადი დასკვნების და მიგნებების შემდეგ VII კლასში განხორციელებული ინტერვენციების შემდეგ კვლავ ჩავატარე **განმეორებითი გამოკითხვა** მოსწავლეებში(იხ.დანართი# **6,#7,#8**), რომლის მიზანს წარმოადგენდა მოტივაციის ხარისხის გაზომვა/დადგენა. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის გეოგრაფია გახდა საინტერესო და სახალისო საგანი,მათ შეძლეს საკუთარი სწავლების მონიტორინგი და მართვა, კოგნიტური სქემების ინტენსურად გამოყენების შედეგად კი გაუადვილდათ საგაკვეთილო ვრცელი ტექტების ათვისება.

VII -კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები

კვლევის მრავალმხრივი ინსტრუმენტების გამოყენების და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დავასკვნებ , რომ:

1.მოსწავლეებს საგნების უმრავლესობაში გაკვეთილი უტარდებათ სწავლების **ტრადიციული მიდგომებით**. მასწავლებლები ხშირად არ/ვერ იყენებენ

ელექტრონულ რესურსებს,ა იშვიათად ასრულებენ მოსწავლეები დავალებებს Pover

point-ის ფორმატში ;

- ჩემს მიერ გაცემული **ინსტრუქციები** დროულია,თუმცა ყოველთვის არ არის მკაფიო და ნათელი, რაც აისახა მოსწავლეთა მიერ უხარისხოდ ან ნაწილობრივ შესრულებულ დავალებებში;
- დროულად არ იყო შემუშავებული **დიდი მოცულობის საგაკვეთილო ტექსტების** გაცნობათვის მორგებული კოგნიტური სქემები;
- გამოკითხულ მოსწავლეთა აზრით, საგაკვეთილო პროცესში **უკუკავშირი** დროულია, მაგრამ შედეგებიდან გამომდინარე ნაკლებ ეფექტური .საჭიროა შენიშვნის მეტი დაკონკრეტება, სიზუსტე და დამაჯერებლობა;
- კოლეგები და მოსწავლეები ერთხმად აღიარებენ არსებულ სახელმძღვანელოებში უამრავი **რთული ცნებების და ტერმინების** არსებობას.
- გამოვლინდა,რომ აღსაზრდელების ინტერესს საგნების მიმართ განსაკუთრებით აღვივებს **ექსპერიმენტები და ცდები** (კეთებით/ შეხებით) სწავლება . აღნიშნული კვლევის ძირითადი დასკვნებისა და მიგნებების შედეგად განვახორციელებ ჩარევას.

VIII - ინტერვენციების აღწერა

ფოკუს ჯგუფების, დაკვირვების და ანკეტირების ანალიზის საფუძველზე დავგეგმე ისეთი ინტერვენციები, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ერევნულ სასწავლო გეგმის სტანდარტებთან.კვლევის პროცესში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება კი ორიენტირებულია როგორც სწავლისადმი მოტივაციის ამაღლებაზე,ისე მასწავლებლების საქმიანობის გამრავალფეროვნებასა და სიახლეების დანერგვაზე. .

- მოტივაციის ა ამაღლების ერთ-ერთ წინაპირობად მივიჩნიე **ისტ-ის გამოყენებით power point-ში** შემაჯამებელი სამუშაოს მომზადება. მოსწავლეებს გავახსენე სლაიდების შექმნა და გაფორმება,რამაც მათი დაინტერესება გამოიწვია. განსაზღვრულ ვადაში, სანდო წყაროზე დაყრდნობით ბავშვებმა მოიძიეს ინტერნეტ სივრცეში ქართული და უცხოელი მოგზაურ-მკვლევარების შესახებ ფოტოები და

ინფორმაციები. თუმცა მაინც დავუტოვე არჩევანის უფლება იმისთვის, რომ პრეზენტაცია სასურველი ფორმით წარმოედგინათ. ერთმა წყვილმა პრეზენტაცია სლაიდ შოუს სახით, მეორე წყვილმა კი სტენდის სახით წარმოადგინა.

ინტერვენციის მიმდინარეობის პროცესში ჩემს მიერ მკაფიო ინსტრუქციის გაცემის შემდეგ გამოიკვეთა აღსაზრდელების ხალისიანი დამოკიდებულება და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების ინიციატივა. დავალებების სწორად დელეგირების შემდეგ მე მხოლოდ დაკვირვებას ვაწარმოებდი და ფასილიტატორის როლს ვასრულებდი. საკმაოდ მოკლე დროში მათ წარმოადგინეს თემები: „გეოგრაფია და მოდა“, „ჯუმბერ ლეჟავა“, „ქალი მოგზაურები“, „გეოგრაფიული ხელსაწყოები“. პრეზენტაციას დაესწრენენ სხვადასხვა კლასისი მოსწავლეები. ნამუშევრები შეფასდა შესაბამისი რუბრიკით. (იხ. დანართი #14), მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სიმბოლური საჩუქრებითაც. ამის შემდეგ მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი სხვა საგნებშიც იმუშაონ ამ ფორმატით.

ვთვლი, რომ აღნიშნული ინტერვენცია სრულად აკმაყოფილებს და ავითარებს XXI საუკუნის უნარებს.

2. კვლევაში გამოყენებული გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ჩემს მიერ გაცემული

ინსტრუქციები ხანდახან არ იყო გასაგები. სწორედ ამიტომ საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით გადავწყვიტე ხელახლა გადამეხედა, შემესწავლა ინსტრუქციების სწორად და გარკვევით გადაცემის სტრატეგიები. სატრენინგო მასალასა და შესაბამის ლიტერატურაზე თვალის გადავლებით, აგრეთვე კოლეგებთან გასაუბრებით შევძელი ამ ხარვეზის გამოსწორება.

გაკვეთილზე მაქსიმალურად ვცდილობ მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებას, შემდეგ მარტივ/ გასაგებ ენაზე გავცემ ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით საჭირო ინსტრუქციას და მეტი დამაჯერებლობისთვის ამ პირობას ვამეორებინებ რომელიმე მოსწავლეს. ასეთ სიტუაციაში იკვეთება პასიური და აქტიური მსმენელების რაოდენობა. ძალიან კარგია აგრეთვე სახალისო აქტივობა „ცერები მალლა/დაბლა“ რომელიც თითოეულ მოსწავლეზე მოკლე დროში იფორმაციის მიღების საუკეთესო ხერხია. რთული დავალების შემთხვევაში მის განხილვას ვიწყებთ კლასში და ალტერნატიული ვარიანტებით ასრულებენ შინ.

3. კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, კლასის ნახევარი მიიჩნევს, რომ

გეოგრაფიის გაკვეთილზე მისთვის უინტერესოა **დიდი მოცულობის ტექსტები**. კოლეგებთან საუბრის დროსაც ხაზგასმით აღინიშნა სახელმძღვანელოებში არსებული ვრცელი და რთული ტექსტების არსებობა, რაც მოსწავლეთა მოტივაციის დაქვეითების ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მოსწავლეებს გავაცანი სწავლის ისეთი **სტრატეგიები**, როგორცაა „3,2,1“, „ვიცი/მინდა ვიცდე/გავიგე“ „კითხვა-ნიშნა სისტემა“ ა.შ.

ამ სტრატეგიების ახსნისას გაკვეთილზე თავდაპირველად მეტი დრო დამჭირდა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ამის შემდეგ გაცნობიერებულად, ხარისხიანად და ენთუზიაზმით უღრმავდება დავალების არსს და მიზანს. ამ ტიპის სტრატეგიები ემსახურება შემდეგ მიზანს :

- ააქტიურებს ახლად ათვისებულ ინფორმაციას;
- აჯამებს მოსაზრებებს წაკითხული მასალის შესახებ;
- აძლიერებს მოტივაციას;
- ავითარებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს;
- აყალიბებს მოსწავლეს აქტიურ მკითხველად;
- ავითარებს წერიითი მეტყველების უნარ-ჩვევებს.

გაკვეთილის დაგეგმვის დროს თემის შესაბამისად გამოყენებული და დროში გაწერილი აქტივობები/მეთოდები ქმნის ისეთ სასწავლო ატმოსფეროს, სადაც თითქმის ყველა ბავშვი მოტივირებულია.

4. კვლევის პროცესმა დამარწმუნა, რომ ჩემს მიერ გაცემული უკუკავშირი კლასის მხოლოდ ნაწილისთვის იყო ეფექტური. გავაცნობიერე, რომ ვჯერდებოდი მხოლოდ ზეპირად მიცემულ შენიშვნებს და ვთვლიდი, რომ მხოლოდ ასე მოვახდენდი ფოკუსირებას მოსწავლის სუსტ მხარეებზე. თუმცა აღმოჩნდა რომ სრულყოფილი შედეგის მისაღებად სჭირო იყო წერილობითი კომენტარების გაკეთება - მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გათვალისწინებით, რაც მოსწავლეს წააქეზებდა და დაავალდებულებდა ეზრუნა საკუთარი სისუსტეების დამღევაზე. მოსწავლეები სიამოვნებით დამთანხმდნენ ერთად შეგვედგინა თვით დაკვირვების ცხრილი, რათა ეწარმოებინათ დაკვირვება საკუთარი შედეგების გაუმჯობესებაზე, ანუ მოეხდინათ თვითმონიტორინგი საკუთარ პროგრესზე.

5. ცნებების და ტერმინების ადვილად ასათვისებლად საბუნებისმეტყველო საგნების

სატრენინგო მასალიდან გავიხსენე და გამოვიყენე თამაშით სწავლების სტრატეგია „ბინგო“. (იხ. დანართი #15)

მოსწავლეების მიერ თანმიმდევრულად ათი ცნების განმარტების წაკითხვისას, მოსწავლეები შესაბამის ტერმინს ეძებენ ცხრილში და აკეთებენ აღნიშვნას. ის მოსწავლე რომელიც პირველად შეავსებს სწორად უჯრებს დიაგონალზე, ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად დაიძახებს „ბინგოს“, რაც მის დაწინაურებას/პირველობას ნიშნავს, დანარჩენები კი აგრძელებენ თამაშს - ცნებების განმარტების მოსმენას საბოლოო ამოწურვამდე. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს რთულად აღსაქმელი ტერმინების ხალისით ათვისებას, ავითარებს მოსმენის და ყურადღების კონცენტრირების უნარს.

6. მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინტერვენციად მივიჩნევ

გენდერული საკითხის წინა პლანზე წამოწევა სასწავლო-საგაკვეთილო სივრცეში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, არსებული სახელმძღვანელოები საჭიროებს

ცვლილებებს. მაშინ როცა გენდერული საკითხი დღეს ასეთი აქტუალურია, არცერთ

სახელმძღვანელოში არ არის დაცული ბალანსი. მით უმეტეს არსებობს სარწმუნო ფაქტები და ცნობები როგორც უცხოელი, ისე ქართველი ქალი მოგზაურების შესახებ.

მოსწავლეებს ვთხოვე განსაზღვრულ დროში **ინტერნეტ რესურსის და კლასგარეშე**

ლიტერატურის გამოყენებით მოემძებნათ ინფორმაციები ქალ მოგზაურებზე ძველ და

თანამედროვე დროში და დაეწერათ ესე „ნარატივი გეოგრაფ/მოგზაურ ქალებზე“

მოსწავლეებმა დათქმულ დროზე ადრე ხალისით შეასრულეს დავალება. ასევე

საკუთარი ინიციატივით მოამზადეს პროექტი „ალპინისტი ქალები“ და „გეოგრაფია და

მოდა“. ინიციატივის საკუთარ თავზე აღების სურვილი სწორედ ,რომ ინტერნეტში

განთავსებულმა უამრავმა საინტერესო თემამ განაპირობა, რადგან

მიჩნეულია, რომ „ინტერნეტი და ტექნოლოგიები გზას უხსნის მოსწავლეებს იმისკენ, რომ

სწავლების პროცესი უნიკალურ და დაუფიქრებლად შემოქმედებით პროცესად გადააქციოს. ცხადია, ასეთ პროცესში სრულად ჩართული მოსწავლე უკეთ გაართმევს თავს სასწავლო ამოცანებს“ (ქურნალი „მასწავლებელი“-2013. №1)

7. ექსპერიმენტი/კეთება გაკვეთილზე - მოსწავლეებმა გამოკითხვის დროს აღნიშნეს, რომ გაკვეთილი მათთვის უფრო საინტერესოა, მაშინ, როცა თემის შესაბამისად მარტივ ცდას ან ექსპერიმენტს ატარებენ. მაგ. „**ვულკანი მაგიდაზე**“, **წყლის სამივე აგრეგატული მდგომარეობის** ვიზუალიზაცია კლასში შემოტანილი თოვლის გუნდის ღუმელზე გადნობით და აორთქლებით; აგრეთვე აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით მიღებულ ცოდნის განმტკიცებას უზრუნველყოფს ინტერნეტ სივრცეში არსებული ვიდეო ფილმები.

მჟავა წვიმების გავლენა გარემოზე ადვილი აღსაქმელი გახდა მას შემდეგ, როდესაც მოსწავლეებმა ჩაატარეს შემდეგი ცდა: რამდენიმე საათის განმავლობაში მმარში მოათავსეს კვერცხი და ჟანგიანი ჭანჭიკები. მოსწავლეთა გაცვებას საზღვარი არ ქონდა, როცა ნახეს დარბილებული კვერცხის ნაჭუჭი და ჟანგისგან გასუფთავებული და გაპრიალებული ჭანჭიკები; ამ პროცესის პარალელურად ნახეს ვიდეო ფილმი „მჟავა წვიმების გავლენა გარემოზე“, გააკეთეს შესაბამისი დასკვნები, გამოკვეთეს და შეაფასეს არსებული საფრთხით გამოწვეული ზიანი გლობალური ცივილური სამყაროსთვის;

„ექსპერიმენტები მოსწავლეს უყალიბებს ბუნების ობიექტებისა და მოვლენათა შესახებ რეალურ აღქმას, ასწავლის ინფორმაციის შეგროვებას, განზოგადებას, შედარებას, ანალიზს და დასკვნების გამოტანას, უვითარებს დაკვირვების, ყურადღების კონცენტრაციის უნარს,

ინტერესს, პასუხისმგებლობას, მამიებლობას, დამოუკიდებლობას. ექსპერიმენტი იძლევა იმ სირთულეთა დაძლევის საშუალებას, რაც თეორიული ცოდნის ათვისებასთანაა დაკავშირებული, აზუსტებს და განავრცობს მოსწავლის უკვე არსებულ ცოდნას.“

საგაკვეთილო პროცესში მსგავსი ტიპის აქტივობები ნამდვილად განამტკიცებს არა მარტო მოსწავლეთა ცოდნას, არამედ ადასტურებს ერთი ჩინური ანდაზის შეგონებას „,მიტხარი - დამავიწყდება, მაჩვენე -მემახსოვრება“ ...

8. საბიბლიოთეკო ზონის მოწყობა - მეტი სივრცე თავისუფალი

აზრისთვის,მსჯელობისთვის და თვითგამოხატვისთვის.

საკლასო ოთახში მოვაწყეთ მინი ბიბლიოთეკა,სადაც თავი მოვუყარეთ გეოგრაფიულ ლიტერატურას: „მაგელანი“ ,,მარტოდმარტო ანტარქტიდაში“, „ჩვენი დედამიწა“, „მსოფლიოს უგრძესი მდინარეები“, „ჩემი ხალხი სიუ“ ,,ოკეანეში დაკარგულები“, „საიდუმლო კუნძული“, მსოფლიოს დიდი ატლასი,საქართველოს ატლასი და ა.შ. დრო და დრო ვახდენდი პროვოცირებას აღნიშნული მხატვრული ლიტერატურის და ინტერესის გამომჟღავნების შემთხვევაში მოსწავლეებს შეეძლოთ წიგნის შინა წაღება. წაკითხვის და გაზიარების შემთხვევაში მათ ელოდათ სიმბოლური საჩუქარი,რადგან თანამედროვე ბავშვის ყველა ქცევა შინაგან მოტივაციას ვერ დაექვემდებარება,ამიტომ საჭიროა გარეგან მოტივაციაზე ზრუნვაც; გარდა ამისა კონკრეტული დავალების შესრულების დროს ინდივიდს თუ ექნება ადექვატური წარმოდგენა საკუთარ უნარებზე,მაშინ მისი ქცევის ეფექტურობას ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს.

IX - ინტერვენციების შეფასება

ინტერვენციის ეტაპობრივი და მრავალჯერადი განხორციელების შემდეგ, მიღებული შედეგების შესამოწმებლად კვლავ გამოვიყენე მოსწავლეთა განმეორებითი ანკეტირება. (იხ.დანართი#4) გამოკითხვა კვლავ ანონიმური იყო გულწრფელი პასუხების მისაღებად. ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო ოთხმა მოსწავლემ და შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა(იხ.დანართი #6,#7.#8,#9)

ინტერვენციების განხორციელების მიზანი იყო:

- **ესგ სტანდარტით** გათვალისწინებული თანამედროვე სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომების გამოყენებით და დანერგვით გაკვეთილების საინტერესო და სასურველ პროცესად გადაქცევა;
- ისტ-ის სისტემატიური გამოყენებით მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებოდათ სანდო წყაროზე დაყრდნობით მოძიებული ინფორმაცია დაეხარისხებინათ, მოეხდინათ ძველი მასალის და ახალთან შერწყმა და ცოდნის ტრანსფერი და ა.შ.
- ვრცელი ტექსტების მარტივად ათვისება და რთული ცნებების /ტერმინების გაგება/აღქმა და ადექვატური გამოყენება;
- დროული,ეფექტური უკუკავშირის და თვითმონიტორინგის შედეგად მოსწავლეების დარწმუნება საკუთარ შესაძლებლობებში,თვითრწმენის განმტკიცება;

- მკაფიო ინსტრუქციების გაცემის შემდეგ მოსწავლეები საგრძნობლად გააუმჯობესებდნენ დავალების შესრულების ხარისხს;
- ექსპერიმენტების/ცდების გამოყენებით მოსწავლეთა ცოდნის მიღება-განმტკიცება, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება და თანამშრომლობითი უნარების განვითარება;
- არსებულ გეოგრაფიის სახელმძღვანელოში გენდერული საკითხის პრივილეგირება/წინა პლანზე წამოწევა კლასგერეშე ლიტერატურის და ინტერნეტ რესურსის გამოყენებით.;
- კლასგარეშე ლიტერატურის გამოყენებით მოსწავლეებისთვის უამრავი დაუვიწყარი ამბის გადაცემა მოგზაურებსა და მათ ფათერაკებით სავსე თავგადასავლებზე; აგრეთვე წაკითხულის თანაკლასელებისთვის გაზიარება.

X- დასკვნა

VII კლასში ჩატარებული პრაქტიკული კვლევა მოიცავდა პრობლემის შესწავლას და იდენტიფიცირებას, ინტერვენციების/ცვლილებების განხორციელებას შეფასების ეტაპებს. გადადგმული ნაბიჯების უმრავლესობა შედეგიანი იყო:

- მოსწავლეებში მკვეთრად ამაღლდა მოტივაცია და ინტერესი გეოგრაფიის მიმართ, თუმცა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მოტივაციის ხანგრძლივად შენარჩუნებაზე მუდმივი ზრუნვა;
 - ეფექტური უკუკავშირის შემდეგ მოსწავლეებმა შეძლეს საკუთარი სუსტი მხარეების აღმოჩენა და შეძლებისდაგვარად გამოსწორება;
 - გაუღვივდათ ინტერესი ახალ-ახალი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიების და ურთიერთ გაზიარების;
 - ჩემს მიერ ყოველ-ჯერზე ზუსტი და მკაფიო ინსტრუქციების გაცემის შემდეგ მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალების ხარისხი გააუმჯობესდა, შესაბამისად აკადემიურმა მდგომარეობამ სასურველ ნიშნულს მიაღწია;
 - მოსწავლეებს გამოუშავდათ ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი. მოეხსნათ არასრულფასოვნების კომპლექსი და გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი;
-
- მე, როგორც მასწავლებელს საკუთარი პედაგოგიური კვლევის განხორციელების დრო საშუალება მომეცა ყოველდღიურად (ახლო მომავლიდან) დავკვირვებოდი საკუთარ საქმიანობას, შევძელი გაკვეთილების უკეთ დავგეგმვა მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესის გათვალისწინებით. მათთან შეთანხმებით გავამრავალფეროვნე სხვადასხვაგვარი აქტივობებით, ამგვარი მიდგომით მოსწავლეებს მეტი ცოდნის, აზრის და ქმედების თავისუფლად გამოხატვის საშუალება მივეცი;

- პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში შევძელი ტრადიციული სწავლების მეთოდების გადარჩევა/დახარისხება და შერწყმა თანამედროვე სწავლების მეთოდებთან. უფრო საფუძვლიანად ჩავწვდი სწავლა-სწავლების ახალ მიდგომებს რასაც სამომავლოდ გამოვიყენებ სხვადასხვა საფეხურზე ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ დაინტერესებულ კოლეგებს.

XI - რეკომენდაციები

მოტივაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. კვლევაში წარმოდგენილი პრობლემის წინაშე დღეს შესაძლებელია ნებისმიერი საგნის მასწავლებელი აღმოჩნდეს. ყველაზე ადვილია ვწეროთ და ვწეროთ... თეორიულად ბევრი ვიკითხოთ სტატიები, ბლოგები, ფსიქოლოგთა დასკვნები მოტივაციის ამაღლების შესახებ... ხანდახან ყველაფრის და მიუხედავად ვერაფერს ვერ ვცვლით, რადგან ყველაფერს „ხვალისთვის“ ვგეგმავთ და ეს „ხვალე“ არა და არ მოდის, იქამდე სანამ აუცილებელი არ გახდება ამის გაკეთება. შემდეგ კი გვიჩნდება პრეტენზია, რატომ არ ვართ ისეთ გარემოში როგორც ჩვენ გვსურს? არა და თითოეულს შეგვწევს უნარი ჩვენი მოსწავლეებისთვის სკოლაში უბრალო, მაგრამ ძალიან კომფორტული სასწავლო ზონები შევქმნათ, სადაც ბავშვისთვის სწავლა სასიამოვნო პროცესად გადაიქცევა. გამოვიყენოთ და მათ ხშირად შევახსენოთ ფარაზა: „განათლება თავისუფლებაა!“ ... მივანიჭოთ ჩვენს აღსაზრდელებს თავისუფლება, ოღონდ საზღვრების ფარგლებში, ეს მათ შესაძლებლობების რეალიზების და მრავალმხრივი ნიჭის წარმოჩენის მეტ შანსს მისცემს. აღზრდელის მიერ შექმნილი პოზიტიური საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც გულისხმობს სასწავლო რესურსებით მდიდარ, პარტნიორულ და უსაფრთხო სასწავლო გარემო არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გონიერი, წარმატებული გულწრფელი, სანდო და ერთგული პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხის ამაღლებისთვის მუდმივი ზრუნვა, კოლეგებთან ინტენსიური თანამშრომლობა, წამოყენებული იდეების გენერირება, სწავლების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შედეგების გაზიარება არის გარანტი წარმატებისა..

გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია)

1. „სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები“ - სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - თბილისი 2004
2. ჟურნალი „მასწავლებელი“, თვით მოტივაცია როგორც წარმატების აუცილებელი

პირობა“- ნინო ელბაქიძე, 2012წელი №6

3. ჟურნალი „მასწავლებელი“ -„საგანმანათლებლო ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციები“ - მ.ლაბაძე, 2013 წელი № 1
4. ინტერნეტგაზეთი, www.maswavlebeli.ge. „ვრცელი ტექსტები სკოლაში .
მაია მენაბდე , 2017წ.11 აგვისტო,
5. „სწავლება და შეფასება“ - დამხმარე სახელმძღვანელო II . 2008 გვ.3-გვ.29
„მოტივაცია და მოტივაციის ამალღების საშუალებები“
- 6.ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge - „ მოგზაური ქალები “ მაია ბლიძე .
2011წელი ,26 იანვარი
7. „განათლების ფსიქოლოგია“ -ანიტა ვულფოლკი , მე-10 გამოცემა
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა , თბილისი -2009
8. სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო-წიგნი II-სამოქმედო კვლევის ნიმუშები
გვ.57 -გვ. 98
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი:
სახელმძღვანელო წიგნი სტატიის,დისერტაციის და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის
ავტორებისთვის.
პირველი ელექტონული გამომცემლობა, 2011 წელი
10. გეოგრაფია - VIIკლასის მასწავლებლის წიგნი - გვ.30, გვ.104
მ, ბლიაძე,გ.ჭანტურია,დ.კერესელიძე
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა -2012წელი
12. <http://mastsavlebeli.ge/?tag=%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94&paged=5>
13. <http://old.marneulifm.ge/ka/2017/05/23/rubrika-qalebi/>
14. ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge -გეოგრაფია და მოდა“ -მაია ბლიაძე.
2015 წელი,27 ოქტომბერი

15. .ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge -გეოგრაფიულ ტექსტებზე მუშაობა“

2015წელი,27 ნოემბერი

<http://mastsavlebeli.ge/?p=1275>

<http://mastsavlebeli.ge/?p=1410>

დანართ #1

კვლევის სამოქმედო გეგმა და შესრულების ვადები

2018 - 2019 სასწ.წელი წელი

№	მოქმედებები/ეტაპები	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	პრობლემის და საკვლევითემის განსაზღვრა და კვლევის მიზნის ჩამოყალიბება	X							
2	კვლევის პროცესის დოკუმენტირება-კვლევის დღიურის წარმოება	X	X	X	X	X	X	X	
3	ლიტერატურის მიმოხილვა			X	X	X	X		
4	კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები			X	X	X			
5	მონაცემთა ანალიზი					X	X		
6	დასკვნები/მიგნებები						X	X	
7	ინტერვენციის დაგეგმვა/განხორციელება			X	X	X	X	X	
8	ინტერვენციების შეფასება								
9	კვლევის დასკვნა							X	
10	კოლეგებისთვის გაზიარება								X
11	ანგარიშის წარდგენა								X

დანართი #2

კითხვარი VII კლასის საგნის მოსწავლეებისთვის

მოგესალმებით!

ვატარებ პრაქტიკულ კვლევას საბაზო საფეხურის VII კლასში, რომლის საბოლოო მიზანია მოტივაციის ამაღლება გეოგრაფიის გაკვეთილზე. თქვენი, როგორც პედაგოგის მონაწილეობა მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროექტის წარმატებისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

თხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის სასურველი პასუხი.

1. რომელ საგანს ასწავლით?
ა. ისტორია ბ. მუსიკა გ. რუსული ენა დ. ინგლისური ენა
2. რომელი აქტივობის დროს არის მოსწავლეთა მეტი ჩართულობა თქვენს გაკვეთილზე?
ა. კითხვა-პასუხი ბ. საკლასო სამუშაო გ. დისკუსია დ. პრეზენტაცია
3. სასწავლო პროცესში მოტივაციის რომელი ფორმა მიგაჩნიათ უფრო მნიშვნელოვანად:
ა. შინაგანი ბ. გარეგანი დ. შინაგანი და გარეგანი
4. როგორია VII კლასის მოსწავლეთა ჩართულობა თქვენს გაკვეთილზე?
ა. დაბალი ბ. საშუალო გ. მაღალი
5. რა ინტენსივობით იყენებთ ისტ-ს გაკვეთილზე?
ა. ხშირად ვიყენებ ბ. იშვიათად ვიყენებ დ. ვერ/არ ვიყენებ
6. რა მიგაჩნიათ მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზად?

- ა. მშობლის გულგრილობა
 - ბ. მასწავლებლის უყურადღებობა
 - გ. სკოლის და ოჯახის არაეფექტური კომუნიკაცია
7. იყენებთ თუ არა გაკვეთილის წარმართვის დროს მაღალ სააზროვნო უნარების განმავითარებელ აქტივობებს?
- ა. ხშირად
 - ბ. იშვიათად
 - გ. არ ვიყენებ
8. თუ გაკვეთილზე მოსწავლეები არ არიან მოტივირებულები, რა ღონისძიებებს/მეთოდებს უნდა მიმართოს მასწავლებელმა?
-
-

მადლობას გიხდით მონაწილეობისთვის.

დანართი # 3

მოგესალმებით!

ვატარებ პრაქტიკულ კვლევას საბაზო საფეხურის VII კლასში, რომლის საბოლოო მიზანია მოტივაციის ამაღლება გეოგრაფიის გაკვეთილზე. თქვენი, როგორც პედაგოგის მონაწილეობა მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროექტის წარმატებისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

გთხოვთ, დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრებები.

კითხვები მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფისთვის:

1. რა ინტერვალით ახორციელებთ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს?
2. საგაკვეთილო პროცესის დროს ახერხებთ თუ არა ყველა მოსწავლესთან დროულ და

ეფექტურ უკუკავშირს?

- 3.რამდენად უწყობს ხელს საგანმანათლებლო რესურსი მოსწავლეთა ჩართულობას?
- 4.მიგაჩნიათ თუ არა,რომ კოლეგებთან პრობლემურ საკითხებზე საუბარი წინ გადადგმული ნაბიჯია მოსწავლეთა წარმატებისთვის?
- 5.სისტემატიურად იღებთ თუ არა გაკვეთილის მიზნის შესაბამის შედეგს?
6. ხშირად აძლევენ თუ არა მასწავლებლები განმავითარებელ კომენტარებს /უკუკავშირს?
7. იყო თუ არა აღნიშნული კომენტარები ეფექტური და უწყობდა თუ არა ხელს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას?
- 8.რა მიგაჩნიათ მოტივაციის გაზრდის მთავარ წინაპირობად სასწავლო -საგაკვეთილო სივრცეში?
- 9.მოტივაციის ამაღლებისთვის რომელ ტიპს ანიჭებთ უპირატესობას- შინაგანს თუ გარეგანს?

დანართი #4

კითხვარი VII კლასის მოსწავლეთათვის

მოგესალმებით!

ვატარებ პრაქტიკულ კვლევას საბაზო საფეხურის VIIკლასში,რომლის საბოლოო მიზანია მოტივაციის ამაღლება გეოგრაფიის გაკვეთილზე.თქვენი, როგორც მოსწავლის მონაწილეობა მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროექტის წარმატებისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

გთხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის სასურველი პასუხი.

1.სწავლის რომელ სტილს ანიჭებთ უპირატესობას გეოგრაფიაში?

- სწავლა კითხვით
- სწავლა შეხებით/კეთებით
- სწავლა მასწავლებლის ახსნილით

2.საინტერესოა თუ არა თქვენთვის გეოგრაფიის გაკვეთილები?

- ყოველთვის საინტერესოა
- არ არის საინტერესო
- ნაწილობრივ საინტერესოა

3.საგნისადმი თქვენს ინტერესს ზრდის:

- ტექსტებზე და რუკაზე მუშაობა
- ექსპერიმენტები/ცდები
- ისტ-ის გამოყენება

4.გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები თქვენი მოტივაციის ამაღლებისთვის არის თუ არა მნიშვნელოვანი?

- ყველა აქტივობა მნიშვნელოვანია
- ზოგიერთი აქტივობა უფრო მნიშვნელოვანია

5. მასწავლებლის მიერ გაცემული ინსტრუქციები თქვენთვის არის:

- ხანდახან გაუგებარი
- ყოველთვის გასაგები
- ნაწილობრივ გასაგები

6. რამდენად აქტიურად ხართ ჩართული საგაკვეთილო პროცესში?

- ზოგჯერ ვაქტიურობ
- ყოველთვის ვაქტიურობ
- ხშირად ვაქტიურობ

7.იღებთ თუ არა გაკვეთილზე მასწავლებლისგან დროულ და ეფექტურ უკუკავშირს?

- იშვიათად ვიღებ ეფექტურ უკუკავშირს
- ხშირად ვიღებ ეფექტურ უკუკავშირს
- ვიღებ ეფექტურ უკუკავშირს,მაგრამ არვითვალისწინებ

8.რამდენად შეგიძლიათ მიღებული ცოდნის გადატანა და დაკავშირება სხვა საგანთან?

- არ შემიძლია
- შემიძლია ძალიან ადვილად
- რთულია,მაგრამ ვახერხებ

დანართი #5

განმეორებითი კითხვარი მოსწავლეებისთვის

მოგესალმებით!


ვატარებ პრაქტიკულ კვლევას საბაზო საფეხურის VII კლასში, რომლის საბოლოო მიზანია მოტივაციის ამაღლება გეოგრაფიის გაკვეთილზე. თქვენი, როგორც მოსწავლის მონაწილეობა მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროექტის წარმატებისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

თხოვთ შემოხაზოთ თქვენთვის სასურველი პასუხი.

1. არის თუ არა გეოგრაფიის გაკვეთილი თქვენთვის საინტერესო და სახალისო?
 - ყოველთვის საინტერესოა
 - ნაწილობრივ საინტერესოა
 - არ არის საინტერესო
2. არის თუ არა აქტივობები თქვენთვის საინტერესო და მრავალფეროვანი?
 - ყველა აქტივობა საინტერესოა
 - ზოგიერთი აქტივობა საინტერესოა
3. გეხმარება თუ არა კოგნიტური სქემები შესასწავლი მასალის უკეთ გააზრებაში?
 - კი
 - არა
 - ნაწილობრივ
4. არის თუ არა ინსტრუქციები მკაფიო და ნათელი?
 - ყოველთვის გასაგებია და არ ტოვებს კითხვებს.
 - ხშირად გასაგებია, მაგრამ კარგი იქნება უფროდ დეტალური ახსნა
 - ინსტრუქციები ბუნდოვანია და აჩენს დამაზუსტებელ კითხვებს
5. შეგიძლიათ თუ არა საკუთარი სწავლის პროცესის მართვა?
 - კი
 - არა
 - ნაწილობრივ
6. რამდენად რეგულარულად ახდენთ საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგს და ავსებთ თუ არა თვითშეფასების ცხრილებს და სქემებს?

- ყოველთვის
- ხშირად
- იშვიათად

დანართი #6




6 კითხვის პასუხებმა აჩვენა: საინტერესოა - თვლის მოსწავლეთა 75%, ნაწილობრივ საინტერესოა მოსწავლეთა -25%, არ არის საინტერესო - 0%. კვლევის პროცესში განხორციელებული სტრატეგიების შემდეგ კარგია რომ კლასში არ აღმოჩნდა არცერთი მოსწავლე, ვინც თვლის, რომ გეოგრაფია არ არის საინტერესო საგანი. ასეთი შედეგის მიღების შემთხვევაში ჩემი მთავარი მიზანია ხანგრძლივად შევინარჩუნოთ გეოგრაფიის მიმართ ინტერესი და ხალისით სწავლის სურვილი.

დანართი#7

შეგიძლიათ თუ არა საკუთარი სწავლის პროცესის მართვა

■ ნაწილობრივ ■ დიახ




ამ კითხვარიდან გამომდინარე კლასის 75% ახერხებს აკონტროლოს და მართოს საკუთარი სწავლის პროცესი, 25% კი ნაწილობრივ ახერხებს. მოსწავლეთა ასეთი თვითაღიარება და კლასის აკადემიურ პროგრესზე მონიტორინგის შედეგების თანხვედრა წარმატების გარანტად მიიჩნევა.

დანართი #8

8. დაგეხმარათ თუ არა კოგნიტური სქემები ვრცელი ტექსტების უკეთ გააზრებაში

■ ძალიან დაეხმარა ■ ნაწილობრივ დაეხმარა




კითხვაზე - დაგეხმარათ თუ არა კოგნიტური სქემები ვრცელი ტექსტების უკეთ გააზრებაში? გამოკითხულ მოსწავლეთა 75% მიიჩნევს, რომ კოგნიტური სქემები ძალიან დაეხმარა ვრცელი ტექსტების უკეთ აღქმასა და ათვისებაში, ხოლო 25% -ის აზრით ნაწილობრივ დაეხმარა. გამოიკვეთა, რომ კლასში მოტივაციის ზრდის ხელის შემშლელი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა დაძლეულია.

დანართი #9

გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები ამაღლებს თუ არა თქვენს მოტივაციას

■ ამაღლებს ■ ნაწილობრივ ამაღლებს



აღნიშნულ კითხვაზე ამაღლებს თუ არა გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობები თქვენს მოტივაციას? შერჩეული ჩარევის განხორციელების შემდეგ კლასის 75% ადასტურებს მოტივაციის ამაღლებას, 25% კი კვლავ იმ ნიშნულზე დარჩა, რომ ნაწილობრივ ამაღლდა. ასეთი დადებითი პროცენტული მაჩვენებელი მიგვანიშნებს რომ გაწეულ შრომას ფუჭად არ ჩაუვლია და ახლა მთავარია მოტივაციის ხანგრძლივად შენარჩუნება.

დანართი #10

მასწავლებლის თვითშეფასება

№	თვითდაკვირვება	ყოველთვის	ნაწილობრივ	ხშირად
1	უსმენთ თუა არა გულისყურით მოსწავლეებს?	X		
2	გაკვეთილზე დასმულ კითხვებზე ნაწილობრივ თქვენ ხომ არ სცემთ პასუხს?		X	
3	აცდით თუ არა მოსწავლეებს ბოლომდე აზრის გამოთქმას?			X

4	მოაქვს თუ არა შედეგი თქვენს შეგონებებს/რჩევებს რომელსაც მუდმივად იმეორებთ გაკვეთილზე?		X	
5	გაკვეთილზე თქვენი აქტიურობა ხომ არ აჭარბებს მოსწავლეებისას?			X
6	მოსდევს თუ არა თქვენს უკუკავშირს მოსწავლეთა მყისიერი ქმედება?		X	
7	გეგმავთ თუ არა სისტემატიურად გაკვეთილს მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესის გათვალისწინებით?			X
8	თქვენს მიერ ჩატარებული გაკვეთილი ტრადიციული და თანამედროვე ტიპის სინთეზია?			X

დანართი #11

რა დამამახსოვრდა კლასის დატოვების შემდეგ?

სახელი და გვარი

კლასი

გაკვეთილის თემა

თარიღი

.....

.....

.....

.....

დანართი # 12

მოსწავლეთა ინდივიდუალური დაკვირვება

სახელი	თარიღი	საშინაო დავალება	საკლასო დავალება	ჯგუფური მუშაობა	კლასელებთან ურთიერთობა

--	--	--	--	--	--

დანართი#13

ცხრილების შევსება სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით. მათ შორის;

ა) მსუბუქი და მძიმე კითხვები



მსუბუქი კითხვები	მძიმე კითხვები
ვინ ?	მოიყვანეთ სამი არგუმენტი თუ რატომ?
რა?	ახსენით რატომ?
როდის?	რატომ ფიქრობთ ასე?
შეიძლება თუ არა?	რატომ თვლით ასე?
რა ეწოდება?	რა განსხვავებაა?
ეთანხმებით თუ არა?	გამოთქვით მოსაზრება, რა იქნება თუ?
მართალია თუ არა?	გამოიტანეთ დასკვნა

ბ) რა? სად? როდის?

ვინ?	რა?	როდის?	სად?	რატომ?

გ) შედარების ცხრილი

თვისებები	ობიექტი №1	ობიექტი №2

ნიმუში:

თვისებები	ობიექტი №1 - შავი ზღვა	ობიექტი №2 - კასპიის ზღვა
გეოგრაფიული მდებარეობა		
ფართობი		
მარილიანობა		

7. თემის ინტელექტუალური (აზრობრივი რუკის) შედგენა; ამ რუკის თავისებურებაა ისაა, რომ მისი შედგენისას პროექტირება იწყება ცენტრიდან – ძირითადი ცნებიდან და სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება. ასეთი რუკის შედგენისას გამოიყენება, როგორც სიტყვები, ასევე სიმბოლოები, ნახატები, დიაგრამები და სხვ. მაგ; ასე შეიძლება გამოიყურებოდეს ინტელექტ-რუკა გლობალური დათბობის შესახებ.

დ) სინთეზის ცხრილი

ტემპერატურა		
მარილიანობა		
ორგანული სამყარო		

ე) ცნებებისა და განმარტებების ცხრილი

ძირითადი სიტყვები	ჩემი გაგებით	ტექსტის მიხედვით
წაკითხვამდე		
1.		
2.		
წაკითხვისას		
1.		
2.		

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

№	მოსწავლის სახელი და გვარი	I მოსწავლე	II მოსწავლე	III მოსწავლე
1	საინტერესო შესავალი/პრობლემის იდენტიფიცირება			
2	კვლევის ნაშრომის წარმოჩენის უნარი			
3	შემოქმედებითი უნარი			
4	პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება			
5	თემის გასაგებად წარმოჩენა(ლოგიკური ჯაჭვი			
6	საუბარი(გამართულობა, ხმის ტემბრი)			
7	თვალსაჩინოების გამოყენება			
8	აუდიტორიასთან კონტაქტი			
9	ინფორმაციის ფლობის უნარი(ადექვატური კითხვა-პასუხი)			
10	დროის ლიმიტის დაცვა			
	ჯამი			

დანართი #15

ბინგო

ეროზ-ია		აკუმულაცია		მაგმა		ბირთვი
	აბრაზია			ფლუბერი		ლავა
დენუდაცია			პანგეა		გამოფიტვა	

კრატ-ერი			ანემო-მეტრი			მაგნიტ უდა			
	ეპიცე-ნტრი				ბარომეტ-რი	ასთენ-ო-სფერო			ამპლ-ო-ტუდა
		ჰიპოცენ-ტრი		ლანდ შაფტი					
			მიწისძვ-რა			გეოგრაფიული გარსი		მანტია	

ცნებები და ტერმინები „ზინგოსთვის“

- 1.ეროზია-ნიადაგის ან ქანების გადარეცხვა(ნგრევა),გამოწვეული დენადი წყლის ან სხვა პროცესებისერთობლივი მოქმედება.
- 2.მიწისძვრა - დედამიწის ზედაპირის უეცარ რყევას,„რასაც შენობების ნგრევა და მსხვერპლი მოყვება.
- 3.ფლუგერი -ქარის მიმართულების და ძალის საზომი ხელსაწყო.
- 4.ბარომეტრი - ატმოსფერული წნევისსაზომი სპეციალური ხელსაწყო.
- 5.ანემომეტრი -ქარის სიჩქარის საზომი ხელსაწყო.
- 6.ასთენოსფერო -მანტიის ზედა ნაწილში მდებარე სფერო ე.წ. „სუსტი სფერო“,სადაც წარმოიქმნება ვულკანები და მიწისძვრის კერები.
- 7.გეოგრაფიული გარსი - გარსი,რომელშიც ერთმანეთს ეხება და ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებს ლითოსფეროს ზედა ფენა, ატმოსფეროს ქვედა ფენა,ჰიდროსფერო და ბიოსფერო, იგივე ბტკ.

8.მაგმა - თხევადი გავარვარებული მასა ,რომელიც დედამიწის ნაპრალებიდან იწყება , მოემართება დედამიწის ზედაპირისკენ, თან და თან კარგავს აირებს/გაზებს.

9.მიწისძვრის კერა ანუ ჰიპოცენტრი

- ადგილი დედამიწის ქერქში,სადაც მიწის ქვეშა ბიძგი წარმოიქმნება.

10.აბრაზია - წყლის მიერ ოკეანეებისა და ზღვების სანაპიროების გადარეცხვის პროცესი.

11.აკუმულაცია - დედამიწის ზედაპირზე მინერალური ნივთიერებებისა და ორგანული ნარჩენების დაგროვების პროცესი.

12.ბირთვი - დედამიწის ცენტრალური ნაწილი,რომლის შემადგენლობაში რკინა და ნიკელი სჭარბობს.

XII - კვლევის შედეგების გააზრების რეფლექსია

ლაფანანთკარის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის VII კლასში ჩატარებული კვლევის ხანგრძლივობა მოიცავდა რვა თვეს- 20.XI.2018- 9.VI.2019, რომლის მთავარი მიზანი იყო გეოგრაფიის სწავლებისას მოსწავლეთა მოტივაციის ხელშემწყობი სტრატეგიების შემუშავება,ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება.

ჩემთვის,როგორც პედაგოგისთვის ძალიან საინტერესო იყო კვლევაზე მუშაობა ,მოვიძიე და გავეცანი მოტივაციის თეორიასთან დაკავშირებულ არა ერთი ფსიქოლოგიური და სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურა მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხის ასამაღლებლად.

ამ პერიოდში ნაყოფიერად ვითანამშრომლე ტრენერებთან და კოლეგებთან.თანამშრომლებთან შეხვედრა შედგა კვლევის საწყის, შუალედურ და ბოლო ეტაპზე.

როგორც ფსიქოლოგები გვიჩვენებენ :„კოლეგების თანამშრომლობის და ურთიერთ სწავლების მეთოდი ქმნის მეგობრულ გარემოს და ორიენტირებულია ცვლილებებსა და

პირველ განვითარებაზე, საუკეთესო საშუალებაა ეფექტური სასწავლო სტრატეგიების დასაგეგმად.“

დავრწმუნდი, რომ სწორედ ამგვარი პარტნიორული დამოკიდებულებით ხდება სწავლებისა და სწავლის პროცესის გამოცდილების გაზიარება ანუ კონსულტირება.

ჩემს მიერ წარდგენილი საკვლევი საკითხის მიმოხილვა და ანალიზი მათი მხრიდან ფოკუსირებული იყო პრაქტიკაზე, აზრთა ურთიერთ-გაცვლაზე, დახმარებასა და არა უსაფუძვლო კრიტიკაზე. სკოლაში „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტის არსებობამ, მოქმედების სწორი ვექტორი მომაძებნინა. კოლეგების დადებითი მუხტი ჩემთვის უდიდესი სტიმული აღმოჩნდა. მათი გონივრული ჩარევით და დახმარებით დიდ კვლევაში ვაწარმოებდი პატარ-პატარა კვლევებს, რამაც დასახულ მიზნამდე მიმიყვანა.

კვლევის ბოლო ეტაპზე, პრეზენტაციის დროს პედაგოგებს წარვუდგინე კვლევის ყველა დეტალი, განხორციელებული ინტერვენციები და კვლევის შედეგები.

კოლეგების მოსაზრებები, შეფასებები და უკუკავშირი წარმოდგენილ კვლევასთან დაკავშირებით ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მათ აღნიშნეს, რომ დემოტივაციის დაძლევის მიზნით კვლევაში გამოყენებული სტრატეგიები მათთვისაც ძალიან მისაღები და ღირებულია. მსგავსი პრობლემა შეიძლება გამოიკვეთოს არამარტო საბაზო, არამედ ნებისმიერ საფეხურზე.

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინიც დაფიქრდებიან პედაგოგიური კვლევის ჩატარების აუცილებლობაზე, რადგან კლასებში შესაძლებელია არა ერთი პრობლემის იდენტიფიცირება და მისი გამოსწორების გზების ძიება საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე მათაც ხელეწიფებათ.

ვფიქრობ, ჩემი ნაშრომით ერთგვარი წარმატების გასაღები გავანდე და გავუზიარე კოლეგებს, რომელიც პირადად მე მოტივაციის ამაღლებას მოვარგე. ჩემთვის უდიდესი სტიმულის მომცემია ის ფაქტი, რომ მათი მხრიდან განსაკუთრებული კრიტიკა არ მოჰყოლია არც ერთ ხედვას და მიდგომას, რომელიც მივიჩნიე მართებულად პრობლემის მოსაგვარებლად.

კვლევაზე მუშაობის პროცესში ბევრი რამ ვისწავლე როგორც კოლეგებისგან, ასევე ჩემი მოსწავლეებისგან(რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს)...მათ შემადგენლობას წამოწყებული საქმიანობის წარმატებით სრულყოფა.

ჩემს პედაგოგიურ მოღვაწეობაში თუ ხელმეორედ ამ გზას გავივლი, რომელიც თავიდან არ იყო ისეთი როგორც მე მსურდა, აღარ დავუშვებ და გავიმეორებ იმ შეცდომებს/ხარვეზებს რომლისგანაც ძალიან ბევრი ვისწავლე.

